ეროვნული ბიბლიოთეკა


# ახალგაზრდა ივერიელი

გამოდის 1921 წლიდან

სამშაბათი 7 აგვისტო № 83 (11569) 1990

ახალგაზრდული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 4 კაპ.


## სესია ამჯერად ჩაიშალა... რა იქნება შემდეგ?

28 ივლისს, როგორც იცით, ჩაიშალა აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესია. ჩაიშალა მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ არ შედგა ქვორუმი. სესიის ჩატარებისათვის სავალდებულო 71 დეპუტატიც კი ვერ მოგროვდა. თავშეყრილმა 58 დეპუტატმა მიიღო მიმართვა აფხაზეთის ასსრ ყველა მცხოვრებისადმი. აზრთა და პოზიციათა ასეთი შეხლა-შემოხლა გამოიწვია სესიის დღის წესრიგის მეორე საკითხმა აფხაზეთის ასსრ სახელმწიფოებრიობის გარანტიების დაცვის შესახებ. მე გავეცანი იმ მოხსენების თეზისებს, რომელიც ამ საკითხს შეეხება და რომელიც სესიის ჩაშლის შემდეგ გამოქვეყნდა ადგილობრივ პრესაში. ეს არის დოკუმენტი აფხაზეთის ანექსიისა და საქართველოდან მისი გამოყოფის შესახებ, წინაპირობა იმისა, რომ უნდა მოხდეს აფხაზეთის რესპუბლიკის სახელმწიფო სუვერენიტეტის დეკლარირება, ეს რომ ნამდვილად ასეა, და რომ ამაში უნდა დარწმუნდეს ქართველი საზოგადოებრიობა, საჭიროა ამ დოკუმენტის გადმობეჭდვა რესპუბლიკურ პრესაში და მისი კომენტირება მეცნიერების, განსაკუთრებით ისტორიკოსების, პოლიტოლოგების მიერ. ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაირკვეს რეალობა 1921-31 წლების აფხაზეთისა, რომელსაც ასე ეჭიდებიან ამ შემთხვევაში აფხაზი დეპუტატები.

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ვალერიან კობახიამ სასტიკი უარი განმიცხადა ინტერვიუს ჩაწერაზე, თუმცა საუბრით მესაუბრა, სადაც აღნიშნა, რომ ჩვენი მიზანი არ არის დამოუკიდებელი რესპუბლიკის გამოცხადება, მითუმეტეს სსრ კავშირიდან გასვლა. ჩვენი უმთავრესი ამოცანაა, რომ ხელშეკრულება გავაფორმოთ საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასთან და ამ ხელშეკრულების საფუძველზე შევიდეთ განახლებულ ფედერაციულ საფუძვლებზე შექმნილ საბჭოთა კავშირში.

28 ივლისის სესია ჩაიშალა, თუმცა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 3 აგვისტოს გამართულ სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება, რომ სესია გაიმართოს 25 აგვისტოს. დღის წესრიგის ორ საკითხს — „აფხაზეთის ასსრ კონცეფცია საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით“ და „აფხაზეთის ასსრ სახელმწიფოებრიობის გარანტიების დაცვის შესახებ“ დაემატა მესამეც — „აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის ცვლილებათა და დამატებათა შესახებ“. ეს საკითხი შეეხება კონსტიტუციის მე-6, მე-7 და 45-ე მუხლებს.

4 აგვისტოს ადგილობრივმა გაზეთებმა დაიწყეს ბეჭდვა საქართველოს უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ კანონპროექტებისა, თუმცა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების „მრგვალი მაგიდის“ ცხუმ-აფხაზეთის რეგიონალურმა ორგანიზაციამ გაცილებით ადრე დაიწყო პროპაგანდა მეორე კანონპროექტისა, რომელიც ითვალისწინებს მრავალპარტიულ არჩევნებს. ეს კანონპროექტი მოსახლეობის დიდი ნაწილის მოწონებასაც იმსახურებს. თავად დავესწარი სოფელ წებელდის მცხოვრებლებთან ამ ორგანიზაციის წევრების შეხვედრას, სადაც მოხდა ამ კანონპროექტის და საერთოდ სამივე პროექტის განხილვა.

ფაქტია და ამას განსაკუთრებით აღნიშნავენ მრგვალი მაგიდის რეგიონალური ორგანიზაციის ხელმძღვანელები, რომ აფხაზეთში გაშლილ ეროვნულ მოძრაობაშიც იმძლავრა კონფრონტაციამ. არიან ორგანიზაციები, რომლებიც დადიან ქართულ სოფლებში და მოსახლეობას აშინებენ, რომ აქ ჩვენს გარდა ვერც ერთი პარტია ვერ შემოვაო და ამას ცალკეული პიროვნებების ლანძღვით ასაბუთებენ. ამაში წებელდის შეხვედრის შემდეგ იქაურ მცხოვრებლებთან საუბარმაც დამარწმუნა.

არის გარკვეული ჯგუფი ადამიანებისა, რომელთაც ეროვნული საბჭო ეწოდება. მათ წარმომადგენლებთან შეხვედრა ვერ მოხერხდა, მაგრამ ყოველგვარი კომენტარის გარეშე მოგაწვდით ერთ ფაქტს: როცა ეროვნული საბჭოს მიერ ჩატარებული ერთდღიანი გაფიცვა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს სესიის ჩაშლის მოთხოვნით გადაიზარდა გლობალურ აქციებში, რომელიც საარჩევნო კანონპროექტების გამოქვეყნებას მოითხოვდა, საბჭოს წევრებმა დაიწყეს გაფიცვის საწინააღმდეგო პროპაგანდა. ერთი რამის აღნიშვნა აუცილებელია, რომ ასეთ დაძაბულ რეგიონში თვით ქართველთა კონფრონტაცია სასურველ შედეგებს ვერ მოიტანს.

58 აფხაზი დეპუტატის მიმართვაში აღნიშნულია, „ეს აქციები სხვა არაფერს წარმოადგენენ თუ არა მცდელობას აშკარა ძალის გამოყენებისა, პოლიტიკური შანტაჟის მოთხოვნა იმ წინადადებაზე, რომ პარლამენტური გზით გადაწყდეს ავტონომიური რესპუბლიკის საარსებო საკითხები, დიქტატის ამგვარი პოლიტიკა, ძალის პოზიციიდან სხვა ხალხებისათვის თავისი ნების თავს მოხვევის პოლიტიკა დაგმობილია № 24 რეზოლუციაში „საქართველოს ეთნიკური კონფლიქტების შესახებ“, რომელიც მიიღო პრაღაში 1990 წლის ივლისში ორგანიზაციის „დემოკრატია და დამოუკიდებლობა“ მიერ მოწვეულმა საერთაშორისო კონფერენციამ“.

აქაც ყველაფერი ნათელია.

**აფხაზეთში სიტუაცია ისევ დაიძაბა. ჯერ იყო და ამა წლის ივლისში სახალხო ფორუმ „აიდგილარას“ გაზეთ „ედინენიეში“ გამოქვეყნდა გასული წლის 15-16 ივლისს აფხაზეთში მომხდარი მოვლენების შემსწავლელი აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს კომისიის სესიაზე დაუმტკიცებელი დასკვნა, სადაც ბრალი მთლიანად ქართველ ხალხს ედებოდა, ამას კი ზედ დაერთო ყოვლად მოულოდნელი სესია აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოსი. სესია ჩაიშალა, მაგრამ იქ მისულმა 58 დეპუტატმა მაინც მიიღო მიმართვა აფხაზეთის ასსრ მცხოვრებთადმი, რომელსაც დღეს უკომენტაროდ გთავაზობთ, (იგი გამოქვეყნდა გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის“ 31 ივლისის ნომერში). აქვე მოგაწვდით ჟურნალისტ ზვიად ქორიძის ინფორმაციას, რომელიც გუშინ დილით გადასცა საინფორმაციო-მუსიკალურმა პროგრამა „პიკის საათმა“.**

**25 აგვისტოს კვლავ დაინიშნა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს სესია. ცხადია, აჩქარება ნამდვილად არ მოიტანს სასურველ შედეგს, მაგრამ დროულად კი უნდა მოხდეს (ბოლოს და ბოლოს!) მეცნიერების, სპეციალისტების მიერ სიმართლის დადგენა და სათანადო შეფასება უნდა მიეცეს აფხაზეთის ისტორიის 1921-31 წლების პერიოდს. ამასთან, საჭიროა რეალური ვითარების შესახებ ობიექტური მასალების გამოქვეყნება საკავშირო პრესაში.**

## მიმართვა
### აფხაზეთის ასსრ ყველა მოქალაქისადმი

**აგერ** თითქმის ორი წელიწადია, რაც აფხაზეთის ასსრ უზენაეს საბჭოს სესია არ მოუწვევია. ამასთან, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა პირველი ყრილობისა და სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მუშაობის ერთი წლის მანძილზე მიღებულია ათობით ფუძემდებელი კანონი, რომლებიც უშუალოდ ეხება ავტონომიური რესპუბლიკის ინტერესებს. ამავე დროს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მიერ მიღებულია დადგენილებანი და კანონები, რომლებიც ეწინააღმდეგება სსრ კავშირის კონსტიტუციას, სსრ კავშირის ნორმატიულ აქტებს და არსებითად ბღალავენ აფხაზეთის ასსრ ინტერესებს. ზოგიერთი საკავშირო კანონის მოქმედება, რომლებიც ცნობილ იქნა საქართველოს ინტერესებისადმი შეუსაბამოდ, ფაქტობრივად შეჩერებულია.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მიერ 1989-1990 წლებში სამჯერ (1989 წლის ნოემბერში, 1990 წლის მარტში და ივნისში), მოწვეულ იქნა სესიები, რომლებიც მიეძღვნა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის პრობლემას. ამ სესიაზე მიღებულია დადგენილებანი, რომლებითაც საქართველოში 1921 წლის თებერვალში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას მიცემული აქვს შეფასება, როგორც არსებული პოლიტიკური წყობილების — საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობა, რაც განხორციელდა სამხედრო ჩარევის (ინტერვენციის) და რსფსრ-ის მიერ ოკუპაციის გზით.

უკანონოდ და ბათილად იქნა ცნობილი როგორც ყველა სახელმწიფო სტრუქტურები, რომლებიც არსებობდნენ და არსებობენ საქართველოში 1921 წლის თებერვლიდან, ასევე საბჭოთა საქართველოს მიერ დადებული ხელშეკრულებები: 1921 წლის 21 მაისს დადებული ხელშეკრულება საქართველოს სსრ და რუსეთის სფსრ-ს შორის, 1922 წლის 12 მარტის ხელშეკრულება ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის შესახებ და 1922 წლის 30 დეკემბრის ხელშეკრულება სსრ კავშირის შექმნის შესახებ. დასმულია საკითხი იმის შესახებ, რომ რსფსრ-მ უნდა სცნოს 1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების უხეში დარღვევა, აგრეთვე, შექმნილია კომისია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის სამართლებრივი მექანიზმის შესამუშავებლად.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა წარმოადგენს ქართველი ხალხის ხელშეუვალ უფლება-მოვალეობას, შეუძლია გადაწყვიტოს ეს საკითხი თვითმმართველობის პრინციპების საფუძველზე, გარედან რაიმე დაწოლის გარეშე, ადამიანის უფლების დაცვის პირობებში.

ამასთან, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილებები იწვევს მთელ რიგ პოლიტიკურ და სამართლებრივ შედეგებს.

საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების, აგრეთვე, მათ მიერ დადებული ხელშეკრულებების უკანონო და ბათილად ცნობა ნიშნავს, რომ ამით აღიარებულია იურიდიულ ძალადაკარგულად ყველა სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი აქტი, რომლებიც ეხება საქართველოსა და აფხაზეთის ურთიერთობებს. ამის გამო ისმება საკითხი აფხაზეთის სამართლებრივი სტატუსის შესახებ, რომელიც ეხება არა მარტო აფხაზების, არამედ ყველა იმ ხალხების, რომლებიც ავტონომიურ რესპუბლიკაში ცხოვრობენ: ქართველების, სომხების, რუსების, ბერძნების, ესტონელების და სხვ. ინტერესებს.

სავსებით გასაგებია აფხაზი ხალხის შეშფოთება, აფხაზეთი — ეს მისი სამშობლოა. მხოლოდ მასთან და მის სახელმწიფოებრიობასთან არის დაკავშირებული მისი აწმყო და მომავალი. იგი განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას გრძნობს მისი ბედისათვის. ასევე არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ აფხაზეთის მიერ სახელმწიფოებრიობის დაცვა პირველ რიგში ითვალისწინებს აფხაზი ხალხის ინტერესებისა და უფლებების დაცვას, რაც გარანტირებულია სსრ კავშირის კონსტიტუციით, აგრეთვე, ისეთი ფუნდამენტური საერთაშორისო-სამართლებრივი დოკუმენტებით, როგორიცაა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, ჰელსინკის 1975 წლის დასკვნითი აქტი, ვენის 1989 წლის საბოლოო დოკუმენტი და სხვა საერთაშორისო აქტები ხალხთა უფლებების შესახებ.

ამ პირობებში აფხაზეთის ხალხთა ინტერესების დაცვა — ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უზენაესი ორგანოს პირდაპირი მოვალეობაა.

აფხაზეთის ბედით შეშფოთებულმა, აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა ჯგუფმა მიმართა აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს და დააყენა საკითხი სესიის ჩატარების შესახებ. მისი ჩატარება ნავარაუდევი იყო 1990 წლის 29 ივნისს, მაგრამ ქვეყნის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების რეკომენდაციით სესია გადატანილ იქნა უფრო გვიან დროისათვის. გაზეთ „სოვეტსკაია აბხაზიაში“ 27 ივნისს გამოქვეყნდა ინფორმაცია სესიის დღის წესრიგისა და მისი გადატანის მიზეზების შესახებ.

1990 წლის 24 ივლისს საოლქო გაზეთებში გამოქვეყნდა აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება 1990 წლის 28 ივლისს აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს მოწვევის შესახებ.

იმის მიუხედავად, რომ დაწვრილებითი ინფორმაცია მომავალი სესიის შესახებ წინასწარ იქნა გამოქვეყნებული პრესაში, რადიოთი და ტელევიზიით, დეპუტატთა გარკვეული ნაწილი სხდომაზე არ გამოცხადდა. თავიანთ გამოუცხადებლობას ზოგიერთი დეპუტატი ხსნის ინფორმაციის უქმარობით; მეორენი — თანახმანი არ არიან დღის წესრიგისა. უფრო მეტიც, პრესაში: „საბჭოთა აფხაზეთში“ 25 ივლისს და „დროშაში“ 26 ივლისს გამოქვეყნდა სტატიები და განცხადებები, რომლებშიც უხეშად არის დამახინჯებული მომავალი სესიის არსი, გზაკვალს უბნევენ რესპუბლიკის მრავალეროვნულ მოსახლეობას და არსებითად მოუწოდებენ ეროვნებათშორის შეტაკებისაკენ. დღეს ინფორმაციის გავლენით რიგმა ადგილობრივმა საბჭოებმა სასწრაფოდ მოიწვიეს თავიანთი სხდომები და მიიღეს ნაჩქარევი გადაწყვეტილებანი, რომლებშიც დაგმობილია სესიის ჩატარება, ხოლო ზოგიერთ საწარმოში ქართველი ეროვნების პირებმა მოაწყვეს გაფიცვა. ბოიკოტის ორგანიზატორებმა უხეში გავლენა მოახდინეს ცალკეულ დეპუტატებზე, აიძულეს ისინი არ გამოცხადებულიყვნენ სესიაზე...

ეს აქციები სხვას არაფერს წარმოადგენენ თუ არა მცდელობას აშკარა ძალის გამოყენებისა, პოლიტიკური შანტაჟის მოწყობას იმ წინადადებაზე, რომ პარლამენტური გზით გადაწყდეს ავტონომიური რესპუბლიკის საარსებო საკითხები. დიქტატის ამგვარი პოლიტიკა, ძალის პოზიციიდან სხვა ხალხებისათვის თავისი ნების თავსმოხვევის პოლიტიკა დაგმობილია № 24 რეზოლუციაში „საქართველოში ეთნიკური კონფლიქტების შესახებ“, რომელიც მიიღო პრაღაში 1990 წლის ივლისში ორგანიზაციის „დემოკრატია და დამოუკიდებლობა“ მიერ მოწვეულმა საერთაშორისო კონფერენციამ.

გასაკვირია, რომ იმ დროს, როცა საქართველოს არაფორმალურ ორგანიზაციათა ცალკეული ლიდერები მოუწოდებენ აფხაზ ხალხს დიალოგისათვის, აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს ბევრმა დეპუტატმა არ ისურვა მონაწილეობის მიღება საარსებო პრობლემების საპარლამენტო განხილვაში. ალბათ, დღეს აფხაზეთში ქართულ ეროვნულ მოძრაობაში გადამწყვეტ როლს ასრულებენ დესტრუქციული ძალები.

პარლამენტური გზა — ერთადერთი შესაძლებელი ხერხია პრობლემების გადასაჭრელად, რაც მიღებულია ცივილიზებულ ხალხებს შორის. უზენაეს საბჭოში დიალოგზე უარის თქმას მივყავართ მიტინგურ სტიქიამდე და ეროვნებათშორის კონფლიქტებამდე. ყოველივე ამაში დამნაშავეებს უნდა ვეძებდეთ არა იმათს შორის, ვინც მოუწოდებს საპარლამენტო დიალოგისაკენ, არამედ იმათს შორის, ვინც ბოიკოტს აცხადებს.

**აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატები (58 კაცი).**

**1990 წლის 29 ივლისი**

ქ. სოხუმი.

მიმართვა მიღებულია აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა კრების მიერ, რომლებიც მოვიდნენ თავიანთ მეათე სესიაზე, რომელიც დანიშნული იყო 1990 წლის 28 ივლისს, მაგრამ ვერ შედგა კვორუმის უქონლობის გამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი ჯანმრთელობა საფრთხეშია

**პრობლემა**

**ცნობილია, რომ შხამქიმიკატების ფართო გამოყენება მავნე ზემოქმედებას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე, განსაკუთრებით ჩასახვისა და განვითარების ხანყის ეტაპზე. ამ მხრივ შემაშფოთებელი მდგომარეობაა ჩვენს რესპუბლიკაში (იხ. „კომუნისტი" 2. 08.1990 წ.). ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის მედეა თავდიშვილის სტატია სწორედ ამ მწვავე საკითხს ეხმიანება.**

ქიმიას უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში. მეორეს მხრივ მას თვლიან თანამედროვეობის თითქმის ყველა ეკოლოგიურ უბედურებების მთავარ დამნაშავედ. მართლაც, არსებობს თუ არა რეალურად ე. წ. „ქიმიური საშიშროება"? სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ ასეთი საშიშროება არსებობს. მაგრამ მიზეზი ქიმია კი არ არის, არამედ მისი პროდუქცია, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებთ არარაციონალურად, ვიყენებთ ხშირად არადანიშნულებისამებრ და თანაც ყოველგვარი წესებისა და ნორმების დაცვის გარეშე.

ჩვენი ქიმიური მრეწველობა ყოველწლიურად 600 დასახელების ახალ ქიმიურ პროდუქციას ითვისებს, რომლის მხოლოდ ერთი მეხუთედი გადის ყოველმხრივ დეტალურ სამეცნიერო, ტექნოლოგიურ და ეკოლოგიურ შესწავლას. ეს კი იწვევს ნედლეულის, მუშახელის, რესურსების უდიდეს დანაკარგებს, პროდუქციის ხარისხის შემცირებას, სავალალო ეკოლოგიურ სიტუაციას და ა. შ.

ერთი სიტყვით, სახეზეა სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის უსულგულო, ზერელე და უგუნური გამოყენება. განსაკუთრებული მძიმე შედეგები მოჰყვა ქლორირების მეთოდებით ზედმეტად გატაცებასა და აქედან გამომდინარე მოსალოდნელი საშიშროებების გაუთვალისწინებლობას. ქიმიური მრეწველობა ქლორიდან იღებს სხვადასხვა სახის ქლორნახშირწყალბადებს.

სამწუხაროდ, ამ ნივთიერებათა უმეტეს ნაწილს გარემოში ამჟამად არავინ აკონტროლებს, მაგალითად, ბრინჯისა და ბამბის მწარმოებელ რაიონებში გამოიყენეს ისეთი ქლორშემცველი პესტიციდები, როგორიცაა ტიურამი, პროპანიდი. რომლებიც მთელ რიგ ქვეყნებში დიდი ხანია აკრძალულია, ჩვენთან კი საპირისპირო სიტუაციაა — 1970 წელთან შედარებით 1985-87 წლებში ჰერბიციდების წარმოება 3,5-ჯერ გაიზარდა.

აშშ-ში, ევროპასა და აზიის ბევრ ქვეყანაში ბოლო დროს მნიშვნელოვნად შემცირდა შხამქიმიკატების წარმოება. მეცნიერთა გამოკვლევებით დადგენილია, რომ გამოყენებული ინსექტიციდების, ჰერბიციდებისა და პესტიციდების უმრავლესობა ამჟამად სრულიად უვნებელი აღმოჩნდა დაახლოებით 430 სახეობის მინდვრის მავნებლის, 36 სახეობის სარეველასა და კულტურულ მცენარეთა 100-მდე დაავადების მიმართ, 1945 წლიდან სინთეზირებულ 35000 პესტიციდიდან დეტალურად გამოკვლეულია შხამქიმიკატების მხოლოდ 10 პროცენტის ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე.

სპეციალისტთა გამონგარიშებით ჩვენთან ვალუტაზე შეძენილი პესტიციდების მესამედი გზაში ტრანსპორტირებისას იკარგება, ხოლო დანარჩენი ორი მესამედი — ჩვენ გვწამლავს.

ქლორწყალბადები ადვილად უერთდებიან ორგანულ ნივთიერებებს და კარგად აკუმულირდებიან ცოცხალი ორგანიზმების მიერ. მაგალითად, ზოგიერთ ზღვის ცხოველში დდტ-ს დაგროვების კოეფიციენტი არის 10 000, ხოლო რეალურ პირობებში ჩატარებული ცდებისას უფრო მეტი აღმოჩნდა. პესტიციდების უმრავლესობა საკმაოდ ნელა იშლებიან გარემოში. ცნობილია, დდტ-ს კვალი ნიადაგში შეიძლება აღმოჩნდეს 30-40 წლის შემდეგაც. ისინი საკმაოდ მდგრადია ბუნებაში და არ იშლებიან უვნებელ კომპონენტებად არც წყლის ჰიდროლიზის შედეგად, არც მიკრობების ზემოქმედებით, არც ნივთიერებათა ცვლის პროცესებში. უმნიშვნელოდ მცირდება მათი რაოდენობა მხოლოდ ატმოსფეროში ულტრაიისფერი სხივების ზემოქმედებით. პესტიციდები გვხვდება ყველგან — არქტიკასა და ანტარქტიდაში, წყალში, ჰაერში, ნიადაგში, თევზის ქსოვილებში, ცხოველებში, ფრინველებსა და ადამიანში. უჯრედში შეღწევისას არღვევენ მის რთულ მექანიზმს, რის შედეგადაც ხდება უჯრედის დეგრადაცია და დაავადება.

დიოქსინი ამჟამად დედამიწაზე არსებული ერთ-ერთი უძლიერესი შხამია, რომლის აკუმულაციის დიდი უნარი აღმოაჩნდათ ცოცხალ ორგანიზმებს. მაგალითად, თევზებისათვის დიოქსინის დაგროვების კოეფიციენტი 2000-7000-ის ტოლია. კანადელი მკვლევარის ჯონ რაიანის ჩატარებული ცდებით აღმოჩნდა, რომ რძის, არაყანის და სხვა საკვები პროდუქტების ქაღალდის პაკეტებიდან დიოქსინი შეიძლება გადავიდეს რძესა და სხვა პროდუქტებში. ქაღალდის პაკეტებში კი დიოქსინი ხვდება მისი ქლორით დამუშავების პროცესებში. ცხოველებზე ჩატარებული ცდებით დადგენილია, რომ დიოქსინი ერთ-ერთი ძლიერი კანცეროგენული ნივთიერებაა. დადგენილია აგრეთვე დიოქსინის გავლენა ჩვილი ბავშვების იმონულოგიური სისტემის მოშლაზე და თანდაყოლილი გონებრივი და ფიზიკური „დეფექტების განვითარებაზე (ე. წ. „მგლის ყბა", სარკომა, ლეიკემოს რთული ფორმები და სხვ.).

აშშ-ს ქაღალდის ინსტიტუტი მუშაობს დიოქსინის რაოდენობის შემცირების პრობლემაზე ქაღალდის მრეწველობის პროდუქციაში. დღესდღეობით კი გვირჩევს, რომ **რძისა და კვების სხვა პროდუქტების პაკეტები აუცილებლად შიგნიდან უნდა დაიფაროს ფოლგით, რათა არ მოხდეს მავნე ნივთიერებათა გაჟონვა საკვებში.**

ადამიანი დღეში საშუალოდ სვამს 2 ლიტრა წყალს, ხოლო შეისუნთქავს 10 000-დან 20 000 ლიტრამდე ჰაერს. თუ გვაქვს გარემოში დიოქსინის კონცენტრაცია 1 მოლეკულა კვადრილიონზე, მაშინ ჩვენ ერთ ჩასუნთქვაზე ვიღებთ დიოქსინის მილიონ მოლეკულას. ქლორწყალბადების გარდა არსებობს კიდევ სხვა მრავალი ორგანული ნაერთები, მაგალითად, ფტალატები, ფურანები, რომლებიც საკმაოდ მდგრადობით გამოირჩევიან და ადვილად აღწევენ რა ცოცხალ ორგანიზმებში, დიდი რაოდენობით გროვდებიან, განსაკუთრებით კი ცხიმოვან ქსოვილებში. ამიტომ საჭიროა მათი რაოდენობის განსაზღვრის მეთოდების შემუშავება.

დიოქსინები და ფურანები წარმოიქმნებიან იქ, სადაც გვაქვს ქლორი, წყალბადი, ნახშირბადი, ჟანგბადი და მაღალტემპერატურული პროცესები. დიდი რაოდენობით გამოიყოფიან ისინი ნაგვის წვის პროცესებში, განსაკუთრებით კი პლასტმასის ნაკეთობების წვისას. ავტომობილის საწვავი, რომელიც შეიცავს ტოქსიკურ შენაერთებს ქსილოლს და დიბრომეთილენს, გვაძლევს მავნე ორგანულ ნაერთებს, სადაც დიოქსინის რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება დასაშვებ ნორმებს.

საგულისხმოა, ქრომატოგრაფიის და მასპექტრომეტრიის მეთოდების დიდი შესაძლებლობების მიუხედავად ქლორნახშირწყალბადების ანალიზი საკმაოდ რთულ ამოცანას წარმოადგენს. მით უმეტეს, როცა საქმე გვაქვს უცნობ ნაერთებთან, მაგალითად დდტ-სა და პქბ-ს ერთმანეთისაგან გარჩევა შესაძლებელი გახდა მხოლოდ ჩვენი საუკუნის 70-იან წლებში. მეცნიერები იმედოვნებენ, რომ ანალიზის უფრო მაღალი მგრძნობიარე მეთოდების დანერგვა, მათი სრულყოფა და შემდგომი განვითარება ნათელს მოჰფენს ბევრ საკითხს ამ დარგში. მაგალითად, ნორვეგიაში, დრობაკის რაიონში აღებულ წყლის ორ სინჯში ორგანული ნაერთების კონცენტრაციის განსაზღვრისას გამოყენებული იქნა დაუშლადი ნეიტრონული აქტივაციის მეთოდი. ანალიზის პასუხი შედარებული იქნა სტანდარტული გაზური ქრომატოგრაფიული მეთოდით მიღებულ რეზულტატებთან. მკვლევარები გაოცდნენ — „თუ ეს მონაცემები კიდევ დადასტურდა, ეს იმას ნიშნავს, რომ ქლორის ორგანული ნაერთების 99 პროცენტი დღესდღეობით მეცნიერებისათვის სრულიად უცნობია"-ო. ასკვნის ცნობილი მეცნიერი სებასტიან გერლახი. ეს უცნობი ნაერთები შეიძლება სრულიად უვნებელია ან პირიქით საკმაოდ ტოქსიკურია. მოყვანილი ფაქტი ნათლად გვიჩვენებს, თუ რამდენად არასრულყოფილია წყალში ორგანული ნივთიერების განსაზღვრის მეთოდები. ამასთანავე, გამოკვლევებისათვის აუცილებელია ისეთი ანალიზური მეთოდები, რომლებიც გაზური ქრომატოგრაფიის შესაძლებლობებს აღემატება.

მეორეს მხრივ, ჩვენთან გარემოს კონტროლის საფუძველია ნივთიერებათა ზღვრული დასაშვები კონცენტრაციების (ზ. კ) განსაზღვრა, რომელიც მეთოდოლოგიურად დიდი ხანია მოძველდა. ყოველწლიურად ჩვენი საწარმოები იმდენად ახალ სინთეზირებულ პროდუქციას უშვებენ (ხოლო მათი კომბინაციების შედეგად გარემოში უცნობ ნაერთთა ისეთი სპექტრი ჩნდება), რომ შეუძლებელია ყველა მათგანის წინასწარ განჭვრეტა და თითოეულ მათგანზე ზ. დ. კ-ს ანალიზის მეთოდების დამუშავება. აქვე გვინდა აღვნიშნოთ ერთი მნიშვნელოვანი დეტალიც — აშშ-ში მონიტორინგის ექსპერიმენტული ფაზის დროს ხარჯები მძიმე მეტალების თითოეული სერიის ანალიზისთვის შეადგენს 50 ამერიკულ დოლარს, ხოლო მავნე ორგანული ნივთიერებების განსაზღვრისას — 100 ამერიკულ დოლარს, დღესდღეობით ჩვენ 3000-მდე ცნობილი ნივთიერებების ზ.დ.კ. ნორმები გვაქვს. რეალურად შეუძლებელია გარემოში ამის მესედი ნაწილის გაკონტროლებაც კი. აღმოჩნდა, რომ 300 დასახელების ნებადართული შხამქიმიკატიდან კონტროლის მეთოდები შემუშავებულია მხოლოდ 120-ზე. რაც მთავარია, არ ვსაზღვრავთ ყველაზე მავნე ნაერთს დიოქსინს, ამიტომ საჭიროა ზ. დ. კ-ს კონცეფციიდან გადავიდეთ სუფთა ჰაერის, სუფთა წყლის კონცეფციაზე. საზღვარგარეთ უკვე 20 წელიწადია წყლის ხარისხის კატეგორიების დადგენა ხდება ტესტი-ორგანიზმების მეშვეობით.

ჩვენ აქ არ შევჩერდებით იმ უმძიმესი ეკოლოგიური სიტუაციის აღწერაზე, რაც ამჟამად სუფევს რესპუბლიკაში შხამქიმიკატების და სასუქების საყოველთაო, განუკითხავი გამოყენების გამო. ამის ნათელი დადასტურებაა ჩვენი მოწამლული მდინარეების, ატმოსფეროსა და ნიადაგის სავალალო მდგომარეობა.

არის თუ არა გამოსავალი და რეალურად რისი გაკეთებაა შესაძლებელი? საჭიროა დავნერგოთ გარემოს ხარისხის ინტეგრირებული მაჩვენებლები, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის, გარემოს მუტაგენობისა და სხვა საერთო ტესტები.

ჩვენთან უამრავი უწყება და ორგანო აკონტროლებს გარემოს, მაგრამ არც ერთი მათგანი არ იცავს ბუნებას, რაც მთავარია იურიდიულად არავინ არავის წინაშე არ აგებს პასუხს. აი ასეთია რეალური ვითარება, სსრკ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ ზოგიერთ შხამქიმიკატის გამოყენება აკრძალულია. მაგრამ ვინ იღებს ყურად ამ დადგენილებას? არავინ. პროპაგანდის გამოყენება კი არა თუ მცირდება, არამედ ყოველწლიურად იზრდება, ასევე ინტენსიურად ხდება ათვისება ჰექსაქლორანისა და დიქსორანილინის, რომელიც შეიცავს დიოქსინს, ამასაც არ ვჯერდებით და საზღვარგარეთიდან ვალუტაზე(!) შემოგვაქვს განსაკუთრებულად მავნე პესტიციდები ბრომოფოსი, დიურონი, კელტანი და სხვა. ქიმიური მრეწველობის სამინისტრომ (რომელიც არ კმაყოფილდება ქვეყანაში შხამქიმიკატების წარმოების გადიდებული ტემპებით), საზღვარგარეთ შეისყიდა 70 მილიონ მანეთის ღირებულების ტექნოლოგია შხამქიმიკატ ბაზუდინის წარმოებისთვის, რომელიც თავისი მომწამვლელი ზემოქმედებით არაფრით ჩამოუვარდება ქიმიური საომარი იარაღის გამოყენებას.

რატომ ხდება ასეთი გაუგონარი ამბები ჩვენს ირგვლივ? პასუხი ერთია, იმიტომ, რომ ყველა უწყება თავისი ინტერესებით ცხოვრობს. არ არსებობს არავითარი ურთიერთგაგება წარმოებას, საგეგმო კომიტეტსა, ქიმიკოსებს, ტექნოლოგებსა თუ ეკოლოგებს შორის. არავინ აქცევს ყურადღებას ზოგიერთი ქიმიური ნივთიერების ეკოლოგიური საფრთხის დონეს, არ ითვალისწინებენ, რომ რეალურ პირობებში ცოცხალი ორგანიზმები განიცდიან ბიოსფეროში არსებული, როგორც ბუნებრივ, ასევე სინთეზირებულ ნაერთთა ერთობლივ ზემოქმედებას (ე. ი. სინერგიული ეფექტი), რომელთა საბოლოო შედეგების შესახებ თანამედროვე მეცნიერებას საკმაოდ არასრულყოფილი ცოდნა მოეპოვება. ვთქვათ, კანცეროგენული ნივთიერება ბენზაპირენის კანცეროგენული ეფექტი 1000-ჯერ ჰზრდება გამხსნელ ნივთიერების დოდეკაენთან თანაობის დროს.

რეალურად რისი გაკეთება შეგვიძლია?

პირველ რიგში, ყოვლად დაუშვებელია პლასტმასის გამოყენება სასადილო სერვისად (ჭიქა, კოვზი, ჩანგალი და ა. შ.), მით უმეტეს კვების პროდუქტების მაღალტემპერატურულ დამუშავების პროცესში! (მაგალითად, ყავის მოსადუღებლად), ასევე უნდა ვერიდოთ თერმულად დამუშავებული საკვები პროდუქტების ქაღალდის ან ცელოფანის პარკებში შენახვას. ამ მიზნებისათვის უმჯობესია ფოლგის გამოყენება.

კატეგორიულად უნდა აიკრძალოს პოლიქლორბიფენილების შემცველობის მქონე ყველა სახის პესტიციდების გამოყენება, საჭიროა აკადემიის პროგრამით განხორციელდეს სერიოზული გამოკვლევები ქიმიური ეკოლოგიის დარგებში. აუცილებელია შევიმუშაოთ ქიმიური მრეწველობისა და მეცნიერების განვითარების გზების პროგნოზირების მეთოდოლოგია ანუ უბრალოდ, ქიმიური ეკოლოგია, ასევე, საჭიროა ტოქსიკურ და ქიმიურ ნაერთთა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დაარსება, რომლის გამომუშავებელი მოთხოვნები თუ რეკომენდაციები სავალდებულო უნდა გახდეს ნებისმიერი საწარმოსათვის. დიდი ქიმიკოსი დ. ი. მენდელეევი ამბობდა — მეცნიერებას ორი საბოლოო მიზანი აქვს — წინასწარი განჭვრეტა და სარგებლობის მოტანაო: ნუ დავივიწყებთ მეცნიერის ამ შესანიშნავ სიტყვებს!

# რა კარგი ყოფილა სოციალიზმი(?!)

ამას წინათ საგაზეთო წერილიდან შევიტყე, რომ ჯორჯიის შტატის ფედაქალაქის, ატლანტის 300 მკვიდრი თბილისს გვეწვია. საპასუხოდ 300 თბილისელი გაემგზავრება მეგობრული ვიზიტით ატლანტაში. დიდებული საქმეა, როგორც იქნა დაიწყო ჩვენსა და ცივილიზებულ სამყაროს შორის არსებული უგვანო საზღვრის მოშლა, მაგრამ აქ, ჩემი აზრით, ახალი თავსატეხი პრობლემები შეიძლება გაჩნდეს. კერძოდ, საკითხავია, რა ნიშნის მიხედვით ხდება ჩვენი თანამემამულეების შერჩევა ოკეანის გაღმა გასაგზავნად და რა კრიტერიუმებით არჩევა ის ოჯახები, სადაც ამერიკელი სტუმრები 10-12 დღეს დაყოფენ? ვინ ადგენს ამ კრიტერიუმებს და ვის ხელეწიფება სტუმრების ამ ოჯახებში განსახლება? ვშიშობ, რომ აქ დიდი შეცდომები შეიძლება იქნას დაშვებული და ეს რომ ასე არ მოხდეს, სასურველია ეს საკითხი საზოგადოების სამსჯავროზე გამოვიტანოთ.

მოსალოდნელია და ამას ქალაქში გავრცელებული ხმებიც ადასტურებს, რომ მასპინძლები ძირითადად „ელიტური" ოჯახებითაა წარმოდგენილი. ისე არ გამოვიდეს, რომ ჩამოსულმა სტუმრებმა სამახსოვროდ მხოლოდ ხაშლამისა და საცივის გემო გაიყოლონ, დაამახსოვრდეთ მხოლოდ გაუთავებელი ქართული სუფრის სურნელი და უთავბოლო დედმამისშვილების სადღეგრძელოები „ამბავსა" და „გაგებაში".

გარდა ამისა, სტუმრები რომ ხიზილალაზე გაზრდილ, დიპლომირებულ არაფრისმცოდნე, ჩასუქებულ, „გატეხე-გაასწორე" ქართველებს ნახავენ, იფიქრებენ: „ა, ბატონო, სოციალიზმი" რა კარგი ყოფილაო", და მერე აუხსენი მაგათ თავისუფლება რატომ გვინდა. ავუხსნით და გავაგებინებთ? ვერა ბატონო, ვერ გავაგებინებთ. ნამეტნავი სტუმარზე გადაყოლამ რაც მოგვიტანა, ვერ დავინახეთ? რომელმა დაგვიფასა? ხშირად ნასესხები ფულით სტუმრისთვის რომ პატივი გვიცია, წელებზე ფეხი რომ დაგვიდგამს, იმ კაცსაც კი, მეზობელს, ჩვენი ქვეყნის მოქალაქეს დაბადებია კითხვა: „ოტკუდაო" — საიდანო, ამას ამერიკელი უფრო იკითხავს ჩვენი შემყურე. იმას თავშიაც არ მოუვა, რომ ქურდობითაა ეს ყველაფერი ნაშოვნი. ამას ის ვერ მიხვდება, ყველა „სიკეთეს" სოციალიზმს დააბრალებს და საბჭოეთს ჩაუთვლის პლიუსად.

უნდა ვიფიქროთ იმაზეც, თუ ვის მივავლენთ ამერიკაში, ქართველებმა სოციალისტური ბლოკის ქვეყნები ზედმეტად კარგად ავითვისეთ, ჰინჰი-პუნჩებითა და უგემოვნებო „ლუსტრებით" უზომოდ დატვირთულები ვბრუნდებით ჩეხეთიდან, პოლონეთიდან, ბულგარეთიდან და ახლა თურქეთიდანაც. წარმომიდგენია, რა აჟიოტაჟი ატყდება ქართველობა შტატებში საქონლით გადატენილ მაღაზიის დახლებს რომ შეესევა. მე კი ვფიქრობ, რომ ამგვარი ვიზიტების მიზანი სულ სხვა რამ უნდა იყოს. ჩამოსულმა სტუმარმა ხაშლამის გემოს გარდა, უნდა წაიყოლოს ჩვენი ერის გულისტკივილი, ჩვენი დარდი და სატკივარი მის საფიქრალ-საზრუნავად უნდა ვაქციოთ, აი, მთავარი ჩვენი მიზანი. თუ არა და საქვეყნოდ განვაცხადოთ, რომ მივდი-მოვდივართ სატაშ-ფანდუროდ, „საგრიალოდ" და „გასასწორებლად".

მარჯორი და ოლივერ უორდროპები რომ რომელიმე ფულიანის ან ლუარსაბისა და დარეჯანის გარემოცვაში მომხვდარიყვნენ, მგონია, ქართული ენის შესწავლის სურვილი აი დაებადებოდათ. უორდროპები ჩვენი ერის ქომაგებად დიდი ილიას საზოგადოებაში ჩამოყალიბდნენ. არც ბორის პასტერნაკს, ესენინს, ბლოკს — ასე უზომოდ არ შეუყვარდებოდით, ტიციანის, პაოლოს, კონსტანტინეს, რომ არ შეხვედროდნენ და დღეს რომ მრავლად გვყავს „პრესტიჟული"

(დასასრული მე-7 გვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა



# პირველად იყო სიტყვა...

დიდი ძალა აქვს სიტყვას. „სიტყვას ვიტყვი, ცამ ქუხილი დაიწყოს!“—ამბობს პოეტი და ძალაც შესწევს ქადილისა. სიტყვის კაცია,—მართალ, პატიოსან კაცზე იტყვიან ამას. „სიტყვა ვუთხარ და იწყინა...“—ეს სიტყვები მშვენიერი ქართული სიმღერიდან არის, ასე დიდებულად რომ მღერის დიდი მომღერალი.

მე მინდა ერთ სიტყვით მკურნალზე გითხრათ ორიოდე სიტყვა.

მშვენიერი, მყუდრო დარბაზი. ორასამდე სავარძელი და კიდევ კედლის გასწვრივ ჩამწკრივებული სკამები. ჟღერს მუსიკის ჰანგები, რასაც ხანდახან ცხონებული თენგიზ ჩანტლაძის ინტერმედიები ენაცვლება. აქა-იქ სიცილი გაისმის, თუმცა ყველა არ იცინის, ზოგიერთებს თვალებში სევდა ჩასდგომიათ. დარბაზი სანახევროდ არის სავსე, მაგრამ მალე გაივსება. გაივსება კი არა და ტევა აღარ იქნება. კედლის გასწვრივ ჩადგმულ სკამებს სხვა სკამებიც მიემატება. ცოტა ხანში ამ დარბაზში შემოვა ახალგაზრდა, ენერგიული, სახენათელი კაცი და ორასი და მეტი წყვილი თვალი შეხედავს მას იმედით.

დარბაზში ყველა ასაკის ადამიანები სხედან.: ბავშვიც, ჭაბუკიც, ჭარმაგიც და მოხუციც. ყველას, დიდსაც და პატარასაც უჭირს, ძალიან უჭირს. ისინი გატეხილმა ჯანმრთელობამ მოიყვანა აქ.

აგერ, იმ პატარა გოგონას, ბუდეშურივით თვალებში სევდა რომ ჩასდგომია, შაქარი აწუხებს, დღეში ხუთჯერ უკეთებენ ნემსებს (მოგიკვდება კაცს ცოდვით გული), მის მეზობლად მჯდომ ჭარმაგ კაცს ოცდახუთი წელი რადიკულიტი ჰკლავს, ვერავინ და ვერაფერმა უშველა, მეორე რიგში კი ქალიშვილი ზის, გასუქებულა და წონის დაკლება უნდა. ვის ასთმა აწუხებს და ვის—გულის ფრიალი, ვის—სახსრების ტკივილი და კიდევ ვინ იცის, ვის—რა.

და მაინც, მათი უმეტესობა ნევროზით არის დაავადებული. ამ ავადმყოფობის უამრავი გამოვლინება არსებობს: გულის უმიზეზო ფრიალი, ჰაერის უკმარისობა, თავბრუსხვევა, აკვიატებული აზრები, თავის ძლიერი ტკივილები, დეპრესია და ბოლოს შიში, გამოუნელებელი შიში ავადმყოფობის, ტრანსპორტის, ხალხმრავლობის, და რაც ყველაზე უფრო საშინელია, სიკვდილის შიში და აქედან გამომდინარე საკუთარი უმწეობის, გარიყულობის შეგრძნება.

დღეს მათ გივი ექიმის იმედი აქვთ. მისგან მოელიან ისინი თანალმობას, სითბოს, კეთილ, გადამრჩენ სიტყვას.

და დღესაც, ისევე როგორც გუშინ და გუშინწინ, ფსიქოთერაპევტი გივი მაზმიშვილი ბოლომდე, დაუშურველად დაიხარჯება. ყოველ სიტყვას ისე იტყვის და მისი ნათქვამი ისე აღიბეჭდება ამ ნახევრად მთვლემარე ადამიანების გონებაში, როგორც ქვაზე ნაკვეთი წარწერა, ერთხელ და სამარადჟამოდ ამოტვიფრული. ეს სიტყვები იმ გოგონას, რომელსაც შაქრის დიაბეტმა სიცოცხლე გაუმწარა, ოცი სეანსის შემდეგ შაქარს ნორმაზე დაუყენებს და მადლიერებით აღსავსე ბავშვი ლექსს მიუძღვნის თავის მხსნელს. ის ჭარმაგი კაცი, ოცდახუთი წელი რადიკულიტი რომ აწუხებდა, ოცდახუთი სეანსის შემდეგ წელგამართული გადაჭრის დარბაზს, ავა პატარა სცენაზე და მკურნალს გვარსა და ჯილაგს დაულოცავს. ის მშვენიერი გოგონა კი, მეორე რიგში რომ იჯდა, უკვე აღარ ჩანს, თურმე გვარიანად დაუკლია წონაში და ლამაზი და ტანკენარი გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს მასავით ლამაზ ბიჭს გაჰყოლია ცოლად. ღმერთმა ხელი მოუმართოთ!

ისინი, ვინც ახლა ჩამოვთვალე, ერთეულები როდი არიან. დამაჯერებით ვიტყვი და მკითხველიც მინდა დავარწმუნო არცერთი ავადმყოფი, ვისაც კი მიუმართავს სამედიცინო-სამკურნალო კოოპერატივ „ფანასკერტელში“ ფსიქოთერაპევტ გივი მაზმიშვილებისთვის, იქიდან გულნაკლული არ წასულა. ამან განაპირობა სწორედ მისი, როგორც სიტყვით მკურნალის პოპულარობა. დღეს მასთან საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოდიან პაციენტები და მალე, ალბათ, ეს მშვენიერი დარბაზი, რომელიც „დინამოს“ სტადიონის დირექციას დიდსულოვნად დაუთმია კოოპერატივ „ფანასკერტელისათვის“, ველარც დააკმაყოფილებს ყველა მსურველს.

„მე მაოცებს, როგორ არ ჰყოფნით ადამიანებს სიმამაცე იცოცხლონ 70 წელზე მეტხანს!“ ეს სიტყვები დიდ გერმანელ პოეტს, გოეთეს ეკუთვნის. გივი მაზმიშვილი ცდილობს სწორედ ამგვარი სიმამაცე შთაუნერგოს ადამიანებს, სიმამაცე, საკუთარი ძალისხმევით დაამარცხონ სენი და იცოცხლონ დიდხანს. მართლაც, არა ერთი და ორი ასეთი გამარჯვება მოაპოვებინა მან თავის პაციენტებს. თუმცა სჯობს თვითონ მათ მოვუსმინოთ.

**ნელი ჩანადირი:** დიდი ხანია ავად ვარ. დიაგნოზი—ვეგეტონევროზი. მქონდა თაბრუსხვევა, გულის ფრიალი, მიკანკალებდა მთელი სხეული, ხალხის დანახვა მაღიზიანებდა, გამიჩნდა შიშები ათასი რამის მიმართ, უამრავმა წამლებმა და ნემსებმა ვერაფერი მიშველეს. გაზეთში წავიკითხე გივი მაზმიშვილის მკურნალობის მეთოდზე. ვირწმუნე, რომ მხოლოდ ის მომარჩენდა. ასეც მოხდა—ოცდაათი სეანსის შემდეგ მე სრულიად განვიკურნე, აღარაფერს ვუჩივი. დღეს ჩემზე ბედნიერი არავინ მეგულება.

**გია თიგიშვილი:** მე შვიდი წლის ვარ, დავდივარ პირველ კლასში. აქ მოსვლამდე მხედველობა მქონდა ოცდაათი პროცენტი. სათვალეს ვხმარობდი, მაგრამ მაინც ვერ ვხედავდი კარგად. დღეს მე-20 სეანსია და უკვე კარგად ვხედავ. ექიმმა მითხრა, მხედველობა ოთხმოცი პროცენტი გაქვსო. სათვალე დავმალე, რომ დედამ აღარ გამიკეთოს, რაღად მინდა....

**ელენე ოქრიაშვილი:** მარილები დამიგროვდა. საშინლად მტკიოდა სახსრები, მთლად დაუძლურებული ვიყავი. ხელის თითებს ვერ ვშლიდი. დღეისათვის ტკივილები მომეხსნა, ორივე ხელს თავისუფლად ვამოძრავებ,. გამიუმჯობესდა მხედველობა, უსათვალოდ ვკითხულობ, თუმცა საკმაოდ მაკლდა თვალთ. თმები გამიშავდა. ამას კი სულ აღარ მოველოდი.

**კარლო ცქიტიშვილი:** სამწუხაროდ, უკანასკნელ წლებში ძლიერ მოვიმატე წონაში. ზედმეტი წონა კი მოგეხსენებათ როგორ უარყოფითად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე. ორჯერ ვიწექი საავადმყოფოში წონის დასაკლებად, 2—3 თვით. მართალია წონაში ორჯერვე დავიკელი დაახლოებით 30 კილოგრამი, მაგრამ ეს პროცესი ჩემთვის ნამდვილად მტანჯველი გამოდგა. თვალები მიბნელდებოდა, მქონდა საშინელი შიმშილის შეგრძნება, ძილში სულ შემწვარ-მოხრაკულს ვხედავდი. მთელი უბედურება კი იმაში მდგომარეობდა, რომ საავადმყოფოდან გამოსვლისთანავე ვიწყებდი საკვების დიდი რაოდენობით მიღებას და უმოკლეს დროში ისევ ვიმატებდი წონაში.

ბოლოს მოვედი აქ, გივი მაზმიშვილის სეანსებზე. ყოველდღიურად ვიკლებ წონაში, უკვე დავიკელი 25 კილოგრამი და რაც მთავარია, ეს სეანსები ჩემთვის მეტად სასიამოვნოდ მიმდინარეობს.

**ნანა ბრძელიშვილი:** მქონდა ნევროზი. გამცვივდა თმები. ოთხი წელი გარეთ არ გამოვდიოდი. წამლებმა ვერაფერი მიშველა. სასოწარკვეთილებაში ჩავვარდი, სიცოცხლე ჩემთვის აუტანელი გახდა. აქ ჩემმა მეზობელმა მომიყვანა, რომელიც ასევე ნევროზით იყო დაავადებული და ბატონმა გივიმ მოარჩინა. დღეს ჩემთვის მეთერთმეტე სეანსია. გამიქრა ნერვული დაძაბულობა, მომეხსნა შიშები და რაც მთავარია, თმები ამომდის.

ჭეშმარიტად დიდი ძალა ჰქონია სიტყვას. როგორ არ გაგახსენდება ეზოპე და მისი არაკი—ამ ქვეყნად ყველაზე ტკბილიც და ყველაზე მწარეც ენააო—რომ უთხრა თავის ბატონს. ნუ გაგიკვირდებათ და ბატონი გივის ბევრი პაციენტიც ენით არის დაკოდილი და მას ტკბილად მოუბარი ენა მოარჩენს მხოლოდ. ასეთი ტკბილად მოუბარი გახლავთ სწორედ სიტყვით მკურნალი გივი მაზმიშვილი. როდესაც თავის პაციენტებს ესაუბრება, ის ხშირად იმეორებს ხოლმე ერთი ჭკვიანი კაცის სიტყვას: „ერთ—ორ თბილ სიტყვას შეუძლია ადამიანი გააბედნიეროს. არამზადა უნდა იყო კაცი, ვინც ამ სიტყვებს არ გაიმეტებს მისთვის“.

გივი მაზმიშვილი უშურველია სიკეთის ქმნაში. იგი უფასოდ მკურნალობს ძალიან ბევრ ადამიანს — მრავალშვილიან და მარტოხელა დედებს, 9 აპრილის ტრაგედიის მონაწილეებს, სტიქიური უბედურებებით დაზარალებულთ.

ერთ საღამოს, მორიგი სეანსის დამთავრების შემდეგ მე და ბატონი გივი დღეს საქართველოში აზვირთებულ ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობაზე ვსაუბრობდით. იგი ერთ ხანს ჩაფიქრდა და, როგორღაც გულნაკლულად თქვა, ცოტა დრო მრჩება ძალიან, ყოველდღე უამრავ ავადმყოფს ვიღებ, მეც უნდა ხანდახან თავყრილობებს დავესწრო, ვერ ვახერხებ და თავი დამნაშავე მგონიაო.

ვერ დავეთანხმები. პირიქით, ის იქ დგას, სადაც უნდა იდგეს. მომავალ, თავისუფალ საქართველოს ჯანმრთელი, სულით მხნე თაობები სჭირდება და ამისათვის იბრძვის სწორედ სიტყვით მკურნალი.

**მიხეილ ბეროშვილი**

# საჭიროა დაკანონდეს

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და სხვა ტიპის სასწავლებლებში მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა. ევოლუციურად შემოტანილი ჰუმანიზაცია და დემოკრატიზაცია უდისციპლინობასა და განუკითხაობაში გადაიზარდა. ამოვარდა ორგანიზებული სწავლების რეჟიმი, დაეცა აკადემიური მოსწრების დონე, გაითიშა წიგნიერებისა და აღზრდის ფუნქცია, მოსწავლეებში თავი იჩინა სწავლისა და შრომისადმი ცინიკურმა დამოკიდებულებამ. მიმტევებლობისა და შემწყნარებლობის გრძნობის დაქვეითებამ, მათ შორის, ნარკომანის, დანაშაულისა და მკვლელობის მომძლავრებამ.

შექმნილ სიტუაციაში მასწავლებელი დაიბნა, საზოგადოებისაგან მხარდაჭერა და თანაგრძნობა ვერ პოვა, დაკარგა პოლიტიკური აქტივობა და ერის წინაშე პასუხისმგებლობა. მის სამართლებრივ დაუცველობასა და უმდაბლეს ხელფასს ე. წ. რეგულირებად საბაზრო ეკონომიკის პოლიტიკაზე გადასვლის შიშიც დაემატა და ისედაც უმამაკაცო უწყების პედაგოგთა ერთმა ნაწილმა ხვალინდელ დღეზე ხელი ჩაიქნია, მეორემ—ბრძოლას სკოლიდან წასვლა, ხოლო მესამემ შორიდან მაყურებლის პოზიცია აირჩია. ერთი სიტყვით დაეკარგა მასწავლებელს რწმენა, დაეცა სკოლის ავტორიტეტი და პედაგოგის ღირსება, გამრუდდა მომავალი თაობის სწავლა-აღზრდის გზა.

აღნიშნულიდან გამომდინარე აუცილებლად უნდა დაკანონდეს: საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებული და განსახილველად გამოქვეყნებული ეროვნული სკოლის კონცეფციის ძირითადი დებულებები, მათ შორის:

1. საყოველთაო სავალდებულო სწავლების გაუქმება;

2. სასწავლო დაწესებულებების — ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების, სკოლა—ინტერნატების, ბაგა-ბაღების, ჩვილ ბავშვთა სახლების, სპორტული სკოლებისა და მუსიკალური სასწავლებლების აბსოლუტური დამოუკიდებლობა; კერძოდ: ფინანსური, პედაგოგების მიღება-განთავისუფლების, ოქროსა და ვერცხლის მედლის მინიჭების, ატესტაციის ჩატარებისა და მისი შედეგების მიხედვით ხელფასების განსაზღვრის, კურსდამთავრებულთათვის უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების ჩაბარების უფლების რეკომენდაციის მიცემით;

3. მაქსიმალური ხელფასის 15 წლიანი პედაგოგიური სტაჟით განსაზღვრა და არსებული ანაზღაურების შენარჩუნებით კვირეული განაკვეთის 12 საათით დამტკიცება;

4. საფინანსო კლასების სწავლების I—II საფეხურზე 20—25, ხოლო III საფეხურზე 15—20 მოსწავლით განსაზღვრა. უცხოურ ენებში, ქართულ და რუსულ ენასა და ლიტერატურაში, შრომასა და ფიზკულტურაში კლასების გაყოფა მოხდეს 20 და მეტი მოსწავლის ზევით;

5. მასწავლებელთა საშემოსავლო გადასახადებიდან განთავისუფლება;

6. რაისაბჭოს აღმასკომების მიერ ყოველწლიურად ჭარბი შემოსავლის 40 პროცენტის გადაცემა სასწავლო დაწესებულებებზე მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების მიზნით;

7. პედაგოგის, სასწავლო დაწესებულებისა და მისი ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობის სამართლებრივ მექანიზმის შემუშავება თანამედროვე მსოფლიოს ცივილიზებული ქვეყნების სტანდარტების გათვალისწინებით;

8. ქართულ სკოლებში რუსული ენის სწავლების გათანაბრება უცხოური ენების სწავლებასთან;

იმედს გამოვთქვამთ, რომ რესპუბლიკის ხელმძღვანელობა გულთან მიიტანს სასწავლო დაწესებულებებში შექმნილ უმძიმეს მდგომარეობას და დააკმაყოფილებთ ჩვენს მოთხოვნას, რისთვისაც წინასწარ გიხდით მადლობას.

აღნიშნული მოთხოვნების დაკანონება ხელს შეუწყობს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის რადიკალურად გარდაქმნის, მომავალი თაობის ზნეობრივი აღზრდის, მასწავლებლის დაცემული ავტორიტეტის ამაღლების, მისი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების, სოციალური სამართლებრივი და პროფესიული ღირსების დაცვის საქმეს. აგვაცილებს დესტაბილიზაციასა და კონფრონტაციას, ჩვენს მიერ პოლიტიკური აქციების მოწყობას.

გთხოვთ, პასუხი გვაცნობოთ მიმდინარე წლის 20 აგვისტომდე, მისამართით ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონის განათლების განყოფილება, ანაგის ქ. № 20.

**საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის სრულიად საქართველოს პედაგოგთა სამართლებრივი დაცვის კავშირის დამფუძნებელი საინიციატივო ჯგუფი.**

(სულ 29 ხელმოწერა)

# გამთლიანებული საქართველოსათვის

საქართველოს დაძაბული დღეები უდგას. გადასაწყვეტ პრობლემებს ვერ დავითვლით, ეროვნულ მოძრაობაში ზოგჯერ, სამწუხაროდ, შეინიშნება ვიწრო პარტიული, ჯგუფური ინტერესების მიხედვით განცალკევების ტენდენცია. არცთუ იშვიათია პიროვნული ქიშპი და წვრილმანი ანგარიშსწორების რეციდივები.

საქართველოს ახალგაზრდული კავშირი, მისი მრავალი ათასი წევრი, შეშფოთებული ვართ რესპუბლიკაში უმართავი პროცესების განვითარების გამო. ამიტომ მოვუწოდებთ ყველას, ვისაც საქართველო უყვარს, ვისაც ქართველ ერზე გული შესტკივა, ვისთვისაც სულერთი არ არის საქართველოს კანონიერი მოსახლეობის მეგობრული თანაცხოვრება, დღეს როცა ასე გვჭირდება ერთიანობა, გამოვიჩინოთ ურთიერთმიმტევებლობა და სიყვარული, ჭეშმარიტი პატივისცემა იმ მაღალი საკაცობრიო იდეალებისადმი, რაც წინაპართაგან გადმოგვეცა.

საქართველოს ახალგაზრდული კავშირი, როგორც დამოუკიდებელი ახალგაზრდული ორგანიზაცია, უარყოფს ყოველგვარ პარტიულ ბლოკებში და ალიანსებში მონაწილეობას. თავის საქმიანობას აფუძნებს ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებსა და ადამიანის უფლებათა დეკლარაციის პრინციპებზე. რაც უპირველესად გულისხმობს ახალგაზრდა ადამიანის — ეროვნული, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და სულიერი ინტერესების გამოხატვასა და დაცვას. ხოლო უმთავრესი სამოქმედო მიზანი, ესაა ეროვნულ-პატრიოტულ მოძრაობასთან ერთად, საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის მოპოვება.

საქართველო დიდი მოვლენების წინაშე დგას. არც ერთი მოვლენა ლოკალურად არ უნდა განვიხილოთ. ისინი უნდა შევაფასოთ ყველა ფაქტორის გათვალისწინებით, რესპუბლიკის შიგნით და მის საზღვრებს გარეთ არსებული რეალობებით, წარსულით, აწმყოთი და მომავლით.

თითოეული ჩვენგანის უწმინდესი მოვალეობაა აქტიური მონაწილეობა მიიღოს ეროვნული გაერთიანების საქმეში. თავისუფალი, დემოკრატიული, ტერიტორიით და სულით გამთლიანებული საქართველოსათვის.

**საქართველოს ახალგაზრდული კავშირის სათათბირო**

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრესა და თავისუფლება

# ...მძიმეა ჯვარი ჩვენი, მაგრამ არის იმედი, რომელიც ყველაზე ბოლოს კვდება

**„დღეს ჩვენ ახალ რუბრიკას ვიწყებთ — „პრესა და თავისუფლება“. რუბრიკის დაბადებას ბოლო დროს მომხდარმა ფაქტებმა შეუწყო ხელი. ეს ფაქტები ჩვენი საზოგადოებისათვის, ჩვენი მკითხველისათვის კარგადაა ცნობილი და მათზე საუბარს აქ არ შევუდგებით.**

**ჟურნალისტებს მთელი 78 წლის ლოდინი დასჭირდათ იმისათვის, რომ მიეღოთ კანონი ბეჭდვითი სიტყვის შესახებ. ცხადია, 1917 წლის 27 ოქტომბერს მიღებულმა დეკრეტმა ბეჭდვითი სიტყვის შესახებ კარგა ხანია დაკარგა აქტუალობა. შეიძლება ითქვას, ეს აქტუალობა მას არც იმთავითვე ჰქონია.**

**სიტყვის თავისუფლება წლებისა და წლების მანძილზე მტკნარი ფიქცია იყო. არც ახლაა იდეალური სიტუაცია, მაგრამ გარდასულ პერიოდთან შედარებაც არ შეიძლება.**

**პრესა და თავისუფლება — როგორ გვესმის იგი?**

**რედაქცია ეცდება სისტემატურად გამოაქვეყნოს მასალები ამის შესახებ. იმედია, კომპეტენტური სპეციალისტები, თავად ჟურნალისტები, ჩვენი მკითხველები აქტიურად გამოგვეხმაურებიან, მოგვწერენ თავიანთ მოსაზრებებს, შეხედულებებს.**

**რედაქცია თვლის, რომ დღეს ეს თემა მრავალ სხვა საჭირბოროტო საკითხთან ერთად, მეტად აქტუალურია.**

**რუბრიკას ვხსნით ჟურნალისტ ავთანდილ გველესიანის, ვფიქრობთ, საინტერესო წერილით.**

**ფრანგები** ამტკიცებენ, ერთ მშვენიერ დღეს საფრანგეთის მაღაზიებში პური, ანდა სხვა პირველი მოხმარების პროდუქტები რომ არ გამოჩნდეს, ანდა „დააგვიანოს“, — რაც გამორიცხულია,—ხალხს ეგონება რაღაც საშწაული მოხდა და გაკვირვებულები მხოლოდ მხრების აჩეჩვით დაკმაყოფილდებიან, მაგრამ გაზეთის ჯიხურებში ფრანგმა დილაადრიან გაზეთები თუ არ შეიძინა, ინფორმაცია არ მიიღო და არ გაცნობიერდა, ეგონება სახელმწიფო გადატრიალება მოხდაო.

ამა წლის 20-ივლისს თბილისელებმა გაზეთის ჯიხურებში გაზეთები საერთოდ ვერ იხილეს, — არც ცენტრალური, არც რესპუბლიკური და არც საქალაქო. რა მოხდა?

წინა დღეებში, 18-19 ივლისს ზოგიერთი გეგმით გათვალისწინებული გაზეთი არ გამოვიდა. ხალხში ზედმეტი მითქმამოთქმა გავრცელდა, სინამდვილე კი არავინ იცოდა, თუმცაღა სინამდვილე ვინც ჯერ არს, ალბათ, იცოდა.

ხალხი?? საზოგადოებას რა პასუხი გაეცა?—დროული, ოპერატიული და ობიექტური?!

არა, „სახელმწიფო გადატრიალება“ ნამდვილად არ მომხდარა.

საინფორმაციო წყაროების ბლოკადის მიზეზი ცნობილია და მასზე აქ არ შევჩერდები.

როგორც ჩანს, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ორი მთავარი და წამყვანი პარტიების გარკვეული ჯგუფების მიერ ამგვარი მოქმედება ჩვენში ჯერაც საფუძველგაუმაგრებელი დემოკრატიული მოძრაობის პრაქტიკულ გაკვეთილებად აღიქმება და საზოგადოებრივ შემეცნებაზე ზემოქმედების ერთ-ერთ „ოპერატიულ“ ნაბიჯს წარმოადგენს.

უკვე მერამდენედ დასტურდება, რომ პოლიტიკური პაექრობის და ურთიერთობების „ლიკბეზი“ ჯერაც გასავლელი გვაქვს. ავტორიტეტული პოლიტიკური პარტიის, მითუმეტეს მისი ლიდერობის თუ ხელმძღვანელ ორგანოებში მოღვაწეობის პრეტენზია—უფლება რომ გაგაჩნდეს, ზნეობის სიმაღლით, სულის სიდიადით უნდა გამოირჩეოდე. თანხმობის პირველი პირობა,—განაწყენიანობისაგან განთავისუფლებაა. ავგუსტინეც ამას ამბობს— ყოფიერების სიღრმეებში სიბოროტეს ადგილი არა აქვსო.

ამავე დღეს—20 ივლისს საქართველოს ტელევიზიის საინფორმაციო პროგრამა „მოამბემ“ ამ ფაქტებს და მოვლენებს გარკვეული ნათელი მოჰფინა, შეფასება მისცა, მაგრამ ხსენებული ეს უპრეცედენტო შემთხვევა სამთავრობო და საკანონმდებლო შეფასებას იმსახურებენ, რათა მომავალში არ განმეორდეს.

ჩვენი ამჟერადი სათქმელი სულ სხვა ხასიათისა და დანიშნულებისაა.

ქართველმა საზოგადოებამ მძიმე მსხვერპლის ხარჯზე, ბრძოლით, სისხლით, ტკივილით შეიცნო და განვლო დემოკრატიული, თავისუფალი ყოფის გარკვეული ეტაპი. ახლაც რიგ შემთხვევებში და გამოვლინებებში გუშინდელი დღის ჩვენს მიერვე უარყოფილი და დაგმობილი განაწესის მიხედვით ვიქცევით და ვმოქმედებთ, მაშინ, როცა დღევანდელი არ უნდა გვაკმაყოფილებდეს და დროს, ხვალინდელს უნდა გავუსწოროთ ფეხი.

მიმდინარე წლის 19 ივლისს ქვეყნის პრეზიდენტი, სკკპ-ის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მიხეილ გორბაჩოვი შეხვდა საკავშირო ტელევიზიისა და რადიოს კოლექტივებს. ამ შეხვედრას მიზნობრივი მისია გააჩნდა არა მხოლოდ იმიტომ, რომ წინა დღეებში მისივე ხელმოწერით გამოქვეყნებულ ბრძანებაში საკავშირო ტელე და რადიო სამსახურის ამოცანების, მისი ზრდა-განვითარების პრობლემებზე იყო გამახვილებული ყურადღება. საკავშირო ტელევიზიითაც დაფიქსირდა, რომ მან კოლექტივის წარმომადგენლობასთან, ხელმძღვანელობასთან შეხვედრისას არაორაზროვნად განაცხადა—პრესამ, რადიომ, ტელევიზიამ პრინციპში უნდა გადახედოს თავისი მუშაობის სტილს, მეთოდებს, შინაარსს, განწყობილებებს და ამიერიდან „პერესტროიკის“ მებაირახტრე, აქტიური მებრძოლი უნდა გახდესო. ამ წინადადებას, რაღა თქმა უნდა, თხოვნის ფორმა ჰქონდა, მაგრამ, ალბათ, ბრძანებაც და თითის ქნევაც იგულისხმებოდა. ისმის კითხვა; სად „გაქრნენ“ საკავშირო პოპულარული გადაცემები „ვზგლიადი“ და „დო ი პოსლე პოლუნოჩი“, საკითხავია?!

ოფიციალური მთავრობაც და ხალხიც, — მკითხველი საჯაროდ აღიარებს პრესის, ჟურნალისტის როლსა და დანიშნულებას ქვეყანაში დაწყებულ და მტკივნეულად მიმდინარე პროცესებში. თუმცაღა, გაზეთის, ჟურნალის, ტელევიზიისა და რადიოს კოლექტივებს, გამომცემლობის მუშაკებს არცთუ იოლ ვითარებაში უწევთ შრომა. სიძნელეების ნუსხა მრავალსახიანი და მრავალგვაროვანია, რაზედაც ნაწილობრივ 1990 წლის 19-ივლისის საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს სახელმწიფო კომიტეტის კოლექტივის მიერ საინფორმაციო პროგრამა „მოამბეში“ იყო გაცხადებული.

როგორც ჩანს რედაქციებს და მათ კოლექტივებს, ჟურნალისტებს დღითიდღე უფრო მეტი „მბრძანებელი—გამგებელი“ ევლინება.

1990 წლის 20 ივლისს ინფორმაციის გარეშე, უგაზეთოთ დარჩენილი თბილისი და საქართველო, ამის დასტურია. ამ ფაქტს იმედია, საქართველოს თავისუფალ ჟურნალისტთა კავშირი, ჟურნალ-გაზეთების სარედაქციო კოლეგიები, რესპუბლიკის მთავრობა, ხელმძღვანელობა ქართველ საზოგადოებას იქნებ მტკივნეულ, მაგრამ სწორ, ობიექტურ პასუხს გასცემენ, რათა მომავალში მაინც თავი დავაღწიოთ რიგ გამოვლინებებში ამგვარ გამოხდომებს, მკაცრად დავიცვათ პრესის, ჟურნალ-გაზეთების, ტელევიზიის მუშაკთა კანონით გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობებს. მსგავსი მიდგომა-შეფასება ნაწილობრივ მაინც მიგვაახლოვებს ცივილიზებულ სამყაროს, რისი პრეტენზიაც ქართველ საზოგადოებას არც თუ უსაფუძვლოდ გააჩნია. ისე კი, სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ზემოთჩამოთვლილთაგან არც ერთს პრაქტიკულად დღემდე არაფერი გაუკეთებია ამისათვის.

ეტყობა კონსტიტუცია, კანონი, სიტყვისა და აზრის გამოთქმის თავისუფლება, ჭეშმარიტი დემოკრატია, ჩვენთვის ჯერაც დიდხანს უცხო ხილი იქნება.

ერთს ვქადაგებთ, ხოლო სხვაგვარად ვიქცევით.

საზოგადოებრივი აღიარება, დაფასება თუ მარტოსულობა,— მტკივნეული საკითხებია. ჩვენ დღენიადაგ, ცნობიერად თუ ქვეცნობიერად ვფიქრობთ საზოგადოებრივ აღიარებაზე თუ მარტოსულობაზე. პირველი გვიზიდავს, მეორე — გვაშინებს. ჰაინრიხ მეოთხე თავის თავს უყვიროდა და შთააგონებდა; „წინ, მშიშარა ლეშო!“ სტენდალის კუზოს, ამბობენ, ერთადერთი ადამიანი მიჰყვებოდაო. ეს ადამიანი ბალზაკი გახლდათ. სიტყვამ მოიტანა და სტენდალი ამბობდა — შეიძლება მხოლოდ იმას დაეყრდნო, რაც წინააღმდეგობას გიწევსო. გასათვალისწინებელი აზრია, მასზე დაფიქრება და ცხოვრებაში გატარება ურიგო არ იქნებოდა. მიმდინარეობს ჩვენი სინამდვილის „შეცნობის“ პროცესი, მირაჟის მსხვრევისა და გაუჩინარების პროცესი. რც უფრო მეტი სულიერი, შინაგანი სრულქმნისაკენ ძალუძს ადამიანს სწრაფვა, მით უფრო მძაფრად მიმდინარეობს მასში საკუთარ თავთან წინააღმდეგობის პროცესი. საკუთარი შესაძლებლობების ფხიზელი თვითშეფასება, რაც სულიერი სიმაღლეების დაძლევის მყარი საფუძველია.

როდესაც ხალხის, საზოგადოების ნაწილი, თუნდაც ცალკე აღებული რომელიმე პარტია თუ მისი ნაწილი, ძალადობის, მომხვეჭელობის, კონფორმიზმის, გამორჩეულობის გზას ადგას, ზნეობას, სულის სიწმინდეს, ფსევდო ეროვნულობას ეტმასნება, ასეთ შემთხვევაში ზნესრულობას მოკლებული ნაწილი—მოსახლეობად იქცევა. გვეყოს ვაჟკაცობა, გულზე ხელი დავიდოთ და საკუთარ თავს შევეკითხოთ; იყო თუ არა ჩვენს ცხოვრებაში ისეთი მომენტები, ვითარება, რომელთა გამო დღესაც, აქამდე გვრცხვენია, სინდისის ქენჯნას განვიცდით?! პასუხი, ალბათ, ერთგვაროვანი უნდა იყოს; რამდენიც გნებავთ, როგორც ნებისმიერ, ყველა ადამიანს თუ ადამიანთა ჯგუფს ჰქონია და გააჩნია მსგავსი მომენტები.

სექტემბერ-ოქტომბერში რესპუბლიკური მთავრობის არჩევნებია ნავარაუდევი.

ეს წლები, დღეები მიღწევების და დანაკარგების, სიხარულის და ტანჯვის, იმედის ასრულების და გაცრუების წლები იყო. მიმდინარეობს მძაფრი, ღია, ზოგჯერ ფარული ბრძოლა სიცოცხლის პრობლემებზე. მიღწევები ძირითადად დემოკრატიულობის ძიების, თავისუფლების დამკვიდრების სფეროებში შეინიშნება. ადამიანის „გაქრისტიანების“ პროცესი გრძელდება.

სკკპ-ის XXVIII ყრილობამ დაგვანახვა; პარტია კვლავ იბრძვის „კომუნისტური წოდების“ მოსაპოვებლად. კარგი იქნებოდა ჯერ მონანიებით, განწმენდით დაეწყო,—ისტორიულ მუზეუმში გალიფე—შარვალი, ჩექმები და მაუზერი ჩაებარებინა.

საინტერესო დრო დადგა, — უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა,—დგება, რაც იმითაა განპირობებული, რომ საზოგადოება მომწიფდა მნიშვნელოვანი, საინტერესო, სერიოზული ცვლილებებისათვის, აქტიური მოქმედებისათვის. ჩვენ, შეიძლება ითქვას, მაინც „გზაჯვარედინზე“ ვდგავართ. საზოგადოებრივი განწყობილება,—„მაჩვენებელი ისარი“ სწორ გზას მიგვანიშნებს. ჩვენს არჩევანზე და მონდომებაზეა დამოკიდებული გზაჯვარედინის რომელ გზას ავირჩევთ და დავადგებით.

დღევანდელი საზოგადოებრივი სახეცვლილებები—უკანასკნელი 72 წლის დემოკრატიისაკენ, თავისუფლებისაკენ გარღვევის მესამე, — უკანასკნელი ცდაა.

დღეს საქართველოს ახალი ისტორია იწერება.

დღევანდელი „პატრიოტული ბუმის“ მოზღვავებისას უნდა შევიგნოთ და ვაღიაროთ, რომ სიმართლე, ჭეშმარიტება უფრო მაღლა დგას ნებისმიერ პარტიაზე, მაღლა დგას დემოკრატიაზე, თავისუფლებაზე და დამოუკიდებლობაზე, მაღლა დგას ქართველზე და ქართველ ხალხზე, მაღლა დგას საქართველოზე. ისტორია ეკუთვნის არა ცალკეულ რომელიმე პარტიას, არა თუნდაც გამორჩეულ პიროვნებას, არამედ ხალხს.

საზოგადოება სიტყვისაგან დაიღალა. სიტყვის ხელისუფლების გაუფასურება, დევალვაცია აშკარაა.

თავის დროზე პუშკინის მეგობარმა ჩაადაევმა იმდროინდელი რუსეთის მდგომარეობას ფხიზელი შეფასება მისცა — საზოგადოებაში ადამიანის ჭეშმარიტი განვითარება ჯერ არ დაწყებულა და პირველყოფითი ეპოქის მერყევ ვითარებაში იმყოფება“-ო. და ეს არათუ პესიმიზი, იმდროინდელი რუსეთის ობიექტური შეფასება იყო. საზოგადოება ამ გადაძახილით ცხოვრობს დღესაც.

ყველაზე მართალი და უტყუარი საშუალება სრულყოფისა არის ის, რომ თავი ჩამოუყალიბებელ, არასრულყოფილ ადამიანად უნდა შეიგრძნო.

ამიტომაცაა, რომ ქართული ეკლესიის მწყემსის, უწმიდესის და უნეტარესის ილია მეორის მოღვაწეობა უპირველესად ქართველი საზოგადოების ზნეობრივ აღორძინებას და ეროვნული ცნობიერების გაღვივებას ესწრაფვის.

ყოველთვის იყვნენ, არიან და იქნებიან „სალიერები“, რადგან იყვნენ და არიან „მოცარტები“. ასეთია კაცთა მოდგმა. ასეა ჩამოყალიბებული ადამიანი განგებისაგან. „სალიერიზმის“ პრობლემა ყოველთვის იყო და იქნება, სანამდე იქნება და იარსებებს ადამიანი.

— მამაო ჩემო,—მე უბედური ვარ!—აველინის გმირი აღსარებას ეტყვის ღვთის მსახურს.

—. . . და რატომ გადაწყვიტე შენ, რომ სხვაგვარად უნდა ყოფილიყო. — იყო პასუხი.

მძიმეა ჯვარი ჩვენი.

მაგრამ არის იმედი, რომელიც სულ ბოლოს, დასასრულს კვდება.

# ნავთის სუნი ტრიალებს

გაზეთები უკვე იუწყებოდნენ რესპუბლიკის ზოგიერთ ავტოგასამართ სადგურში ბენზინის ფალსიფიკაციისა და მისი შემდგომი რეალიზაციის ფაქტებს. დღეს შეიძლება ითქვას, რომ ეგრეთ წოდებული ოპერაცია „ბენზინის“ კვალი ძალზე შორს მიდის და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სოციალისტური საკუთრების დატაცების წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს ბევრი ჯაფა დაადგება, რათა გამოააშკარავოს ამ უხამს, ბინძურ საქმეში ყველა საქმოსანი, მაქინატორი და მათი სულისჩამდგმელები.

უსაქონლო ოპერაციებმა, რომლებიც განახორციელა სათბობის სახელმწიფო კომიტეტის თბილისის ნავთობბაზამ მარნეულის რაიკოოპკავშირის სავაჭრო ბაზის № 10 მაღაზიასთან ერთად, ბენზინის ფალსიფიკატორებს კარგი მოგება — 18.131 მანეთი მოუტანა. სწორედ ასეთი ზედმეტი თანხა ამოიღეს ამ მაღაზიის ოპერატორებისაგან შემოწმების დღეს. გარდა ამისა, ერთადერთმა ოპერატორმა ჯუმბერ მჟავანაძემ, როცა იგრძნო, რომ ჰაერში ნავთის კი არა, დენთის სუნი დატრიალდა, ნებაყოფლობით კიდევ 30 ათასი მანეთი შესთავაზა. გულუხვობაც ამას ჰქვია! ფალსიფიკაცია კი არ მოითხოვდა არავითარ გამოგონებას ან აღმოჩენას. ნავთობბაზის ოპერატორები უბრალოდ ლიტრ ნავთს, რომლის ღირებულება 7 კაპიკია, ურევდნენ ა-76 მარკის ლიტრ ბენზინში (ღირებულება 30 კაპიკი) და ამონაგებს ითვისებდნენ. რაც მეტს შეურევ, მეტს მოიგებ.

უპატიოსნო გზით ნაშოვნ ფულს აქვს ადამიანებისათვის თავბრუსდახვევის ასეთი თვისება, სანამ საქმე არ „გასკდება“. იმავე დღეს მაღაზიის გამყიდველს ფაზილ ყურბანოვს გაჩხრეკის დროს აღმოუჩინეს დაახლოებით 170 ათასი მანეთის აღურიცხავი ამონაგები. გარდა ამისა, მან მჟავანაძის მაგალითისამებრ, ასევე შესთავაზა მილიციის მუშაკებს უსაქონლო ოპერაციების განხორციელებისათვის ჯილდოს სახით მიღებული 12 ათასი მანეთიდან მასთან დარჩენილი 5 ათასი მანეთი.

გამოძიება გრძელდება. როგორც ჩანს, სისხლის სამართლის პასუხისგებაში გადაეცემიან სხვა ვაიოპერატორები და დანაშაულის თანამონაწილეები. და რაც მალე მოხდება. ეს, მით უკეთესია.

**დავით რამიშვილი,**
**საქინფორმის კორესპონდენტი.**

# ვაჩუქოთ საკუთარ თავს სილამაზე

თავიანთი „კონცერტებისათვის“ ამოირჩიეს ქალაქ წყალტუბოს მცხოვრების თენგიზ ლექვთაძის ეზო მგალობელმა ფრინველებმა...

რამდენიმე წლის წინათ თავის მეუღლესთან ფერიდესთან ერთად მან გააშენა ბაღი, სადაც ახლა ხარობენ ეგზოტიკური მცენარეები. გამონახეს ადგილი ცოცხალი კუთხისთვისაც. ამაყად დააბიჯებენ ვოლიერში ფარშევანგები, ზედ დაჰკანკალებს თავის მრავალრიცხოვან „ჰარამხანას“ ულამაზესი მანჯურიული ხოხობი, სწრაფად ქექავენ მიწას და ქვიშის „აბაზანებს“ იღებენ იაპონური მწყრები.

ამ გაზაფხულზე ეზო-ბაღს დაემატება კიდევ ერთი ყვავილნარი, სადაც იხარებს მიმოზა, კამელიები, რამდენიმე ჯიშის ვარდი.

— სანამ სილამაზეს აჩუქებდე ირგვლივ მყოფთ, — თქვა თენგიზმა, იგი ჯერ თვითონ უნდა შეიგნო, იგრძნო, იგი განწმენდს, აკეთილშობილებს სულს.

**გია კორძაძე,**
**საქინფორმის კორესპონდენტი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



რომან მიმინოშვილი

# ...და ოლიმპო იძრა დიადი

ზევსმა თანხმობის ნიშნად თავი დახარა, შეირხა მეუფის სურნელოვანი თმები და „ოლიმპო იძრა დიადი“... ნურაფერს დამაბრალებთ, თუ რაიმე ანალოგიას მიაგნებთ. მე მხოლოდ ჰომეროსის „ილიადის“ დიდებული სცენა გავიხსენე. ძველმა ბერძნებმა ღმერთების მშვენიერი სამყარო შექმნეს: მათ სჭირდებოდათ აეხსნათ ბუნების ამოუცნობი მოვლენები, ჭექა-ქუხილი ღრუბელთბატონი ზევსის გუნება-განწყობას მიაწერეს, ხელოვნებისგან მოგვრილი სიხარული — შორსმოისარ აპოლონს, სიბრძნე — ათენას, ომის საშინელება — არესს, სიყვარულის ნეტარება — აფროდიტეს... რაღა ყველა ჩამოვთვალო, არ დარჩენილა სიკვდილ-სიცოცხლესთან დაკავშირებული არც ერთი წვრილმანი, თავისი ღმერთი რომ არ ჰყოლოდა.

ძველ საბერძნეთში არავითარი „პერესტროიკა“ არ ჩატარებულა, იმთავითვე ნებადართული იყო „გლასნოსტი“ და ამიტომ ბერძნები ღმერთებს არ მორიდებიან, ყოველგვარ ადამიანურ სიკეთეს და სიგლახეს დაურიდებლად მიაწერდნენ. ზევსის ავხორცობა არავის აკვირვებდა, ეს ყოვლისშემძლე ღვთაება სხვის ცოლებს რომ სარეცელში უძვრებოდა, კიდევ არაფერი, ხარად გადაქცევასაც კადრულობდა ევროპეს მოსატაცებლად და წვიმად ესხურებოდა ქალწულ დანაეს, ჰერმესს ქურდობა არ ეთაკილებოდა და აფროდიტეს — მრუშობა...

რა ჩემი ბრალია, თუ ოლიმპიური პანთეონი მკითხველს ჩვენი ცხოვრების გარკვეულ მომენტებს აგონებს? ეს ერთი მხრივ ბერძნების, ხოლო მეორე მხრივ ჩვენი ცხოვრების ბრალია, მე ნუ დამადანაშაულებთ.

მაგრამ რაკი თქვენსას არ იშლით და გნებავთ, მშვენიერი ბერძნული მითოლოგიის სამყაროდან დღევანდელ ცოდვილ სამყაროში გადმოგიყვანოთ, რაკი რაღაც ანალოგიას ეძებთ, კეთილი და პატიოსანი, ამაზეც ვილაპარაკოთ, მაგრამ იცოდეთ, ჩემს ცოდვაში პასუხისმგებლობა თქვენ გეკისრებათ.

სამოცდათორმეტი წლისა და რვა თვის წინათ ახალი ცხოვრების შენება „მოვინდომეთ“, მივანგრიე-მოვანგრიეთ, რისი დანგრევაც შეიძლებოდა, ყელში ვწვდით ისტორიას და საწყალი დღემდე თვალებგადმოკარკლული მოგვჩერებია — როდის მივცემთ თავისუფლად ამოსუნთქვის საშუალებას. ხელახლა შეიქმნა ქაოსი, რომელსაც უნდა ეშვა ურანოსი (ცა), გეა (დედამიწა), შემდეგ კრონოსი, რომელიც საკუთარ შვილებს ყლაპავდა. ბერძნული მითოლოგია არაფერს ამბობს იმაზე, რამდენ ხანს მეფობდა შვილების მყლაპავი კრონოსი, ის კი ვიცით, რომ მას შვილები კი არ ეგემრიელებოდა, მაგრამ ყლაპავდა, რამეთუ უწყოდა: ერთ-ერთი მათგანი მის მეფობას ბოლოს მოუღებდა. საბჭოთა მითოლოგიის კრონოსი 1985 წლის აპრილამდე ყლაპავდა თავის შვილებს და არ იცოდა, რომ ახალშობილი ზევსის ნაცვლად მასაც ჩვრებში გახვეული ქვა გადააყლაპეს.

დაიწყო ახალი ერა, შეიქმნა ახალი პანთეონი, ახალი ოლიმპო. ხრუშჩოვის „ბაშმაკების“ დემოკრატია (როგორ მაინტერესებს, ნიკიტამ მსოფლიოს რჩეულ პოლიტიკოსთა წინაშე „ბაშმაკები“ რომ გაიხადა, განთავისუფლებული ფეხის თითები თუ შეათამაშა?), ბრეჟნევის ტაშფანდური, ანდროპოვის დისციპლინური წყლის ნაყვა და ჩერნენკოს მთქნარება შეიცვალა ჯერ უალკოჰოლო სიმთვრალით და შემდეგ კრონოსის ლანძღვა-გინებით. ზევსის უზენაესი ნება-სურვილით მუნჯებმაც ამოიდგეს ენა.

ახლადმოვლენილმა ზევსმა, ვიდრე ოქროს ხანას შექმნიდა, ადრეულ პერიოდს „უძრაობის ხანა“ დაარქვა და ჩართო ძრავა უძრაობის ასამოძრავებლად. ხუთი წელია თუხთუხებს მანქანა, მაგრამ ძრავა არ ირთვება, რამეთუ აქამდე არ გაგონილა უძრაობის მოძრაობა. მანქანა კი აღმართზე დგას, რადგან იგი კრონოსმა გამოიგონა და თავის დროზე კომუნიზმის მწვერვალს შეუყენა. ზევსმა კი კონუსის ფეხი დააჭირა, გასაღები გადაატრიალა, მაგრამ მხედველობიდან გამორჩა, რომ მუხრუჭი არ მუშაობს. უკან დაგორდა მანქანა, თანდათან იკრებს სიჩქარეს და უფსკრულისკენ მიექანება. შეშფოთდნენ მგზავრები, ვიდრე ინერცია სახიფათო ზღვარს მიაღწევს, გადავხტეთ, ცალ-ცალკე იქნებ თავს ვუშველოთ, სულაც ფეხით ვიაროთო. განრისხდა ზევსი: ჩვენ ოქტომბრის იდეების ერთგულნი ვართ, ეს როგორ შეიძლებოდა, ერთად უნდა ვიყოთო, რაც უფრო მძიმედ არის დატვირთული მანქანა, მით უკეთესიაო. ის კი ვერ გაითვალისწინა, რომ მძიმე ლოდი კენჭზე უფრო ნელა სწყდება ადგილს, მაგრამ შემდეგ ისე სწრაფად მიგორავს, რომ ველარაფერი შეაჩერებს. ზევსი ტი“ კრემლმა გულში ჩაიხუტა. ბიუროკრატია ყოველნაირად ცდილობს შეინარჩუნოს ძველი, უკან მგორავი მანქანა, ამის ბოლო საბუთია „რეგულირებულ საბაზრო ეკონომიკაზე“ გადასვლის მთავრობისეული პროგრამა. თანდათანობით უბრუნდება საბჭოთა პარლამენტი ძველებურ ერთსულოვნებას მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აპლოდისმენტების ნაცვლად ჯერ კიდევ ისმის ცალკეული დეპუტატის გმინვა. მალე ისიც ჩაიხშობა.

ჯერ კიდევ ახერხებენ პროგრესული, დემოკრატიული ძალები თავიანთი პოზიციის დაცვას, მიუხედავად პარტიულ-ბიუროკრატიული აპარატის ძალისხმევისა, რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს ბორის ელცინი, რომელსაც მხარს უჭერს ხალხი. უთუოდ სამართლიანია რუსეთის კომპარტიის შექმნა, მაგრამ ძირითადად პარტიული ფუნქციონერებისგან შემდგარმა დამფუძნებელმა ყრილობამ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია პოლოზკოვი, მას შემდეგ, რაც მმართველმა აპარატმა ვერაფერი გააწყო მის ჩასარჩევად სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე. ელცინთან „დუელში“ დამარცხებული პარტიული ფუნქციონერი, იმპერიული ამბიციებით გამსჭვალულ გენერალიტეტთან და ყველა დონის პარტიულ ლიდერებთან ერთად, დაუპირისპირდა პარლამენტს. ეს ფაქტობრივად ხალხთან დაპირისპირებაა, მაგრამ ძალთა თანაფარდობა ჯერჯერობით მმართველი პარტიის მხარეზეა. ყოველგვარი პირობაა შექმნილი რუსეთში და, აქედან გამომდინარე, მთელს საბჭოთა კავშირში სამოქალაქო ომის გასაჩაღებლად. ეს სამწუხარო ისტორიული პერსპექტივაა, რომელსაც თვალი უნდა გავუსწოროთ, ვიდრე საბედისწერო კატასტროფა საბოლოოდ არ დაგვაბრმავებს ალარაფერს ვამბობ რესპუბლიკებში ეროვნულ მოძრაობაზე, რომლის დასათრგუნავად ტანკები და თვით ქიმიური იარაღიც არ არის უგულვებელყოფილი, ხოლო თუ რა ბარბაროსულ ფორმებს იღებს გაბრიყვებული არმიის მიერ „ინტერნაციონალური ვალის მოხდა“, ეს აშკარად გამოჩნდა თბილისსა და ბაქოში. სხვა საშუალება ძველი მანქანის გადასარჩენად პარტოკრატიულ-ბიუროკრატიულ აპარატში არ არსებობს. თუმცა, ჯერ კიდევ მოქმედებს „დემოკრატიული“,

მტკიცე. მზერით წინ — კომუნისტური პერსპექტივებისკენ იყურება და მგზავრების გმინვას ყურადღებას არ აქცევს... ამოცანა გვეკითხება: მანქანა, რომელიც 70 წლის მანძილზე მხოლოდ 70 ნაბიჯით გასცილდა სამოქალაქო ომისა და შიმშილობის ზღვარს, თანდათან აჩქარებული უკან დაგორებით რამდენ ხანში მიაღწევს იმავე ზღვარს და გადაიჩეხება უფსკრულში?

ვიდრე ამ ამოცანას ამოვხსნიდეთ, გავიხსენოთ უკანასკნელ ხანებში უძრაობის მანქანის ასამოძრავებლად გადადგმული ნაბიჯები. ლიტვამ დროზე უშველა თავს, მანქანის სარკმლიდან გადახტა. აღშფოთდა ზევსი — რატომ კარიდან არ გახვედიო, კარი კი საიმედოდ ჰქონდა ჩაკეტილი რესპუბლიკათა გაუსვლელობის კანონით. ეგრეთ წოდებული ეთნოკონფლიქტები და ინტერფრონტები რესპუბლიკებში მოსკოვის კარნახით და იმედით შეიქმნა, ეს იქიდანაც ჩანს, რომ ლიტვის კომპარტიისგან გამოყოფილი სკკპ პლატფორმაზე დამდგარი რუსულენოვანი კომუნისტები და მათი „ცენტრალური კომიტე-„ქვემოდან“ გამოჩენილი ინიციატივის მეთოდი. ამის სულ ცინცხალი მაგალითი გახლავთ პარტიის XXVIII ყრილობის სამზადისი, რომ გვეგონა, ჩვენ მოვიგონეთ რესპუბლიკური ყრილობის ორ ეტაპად ჩატარებაო, რათა ამით თავიდან აგვეცილებინა მოსალოდნელი გართულებანი და დროზე ადრე არ გამოგვეცხადებინა საქართველოს კომპარტიის დამოუკიდებლობა, იგივე გააკეთესო სხვა რესპუბლიკებმა, მათ შორის, სულ ახლახან რუსეთის კომპარტიამ, რომელიც აშკარაა, რომ ყველაფერს პოლიტბიუროს კარნახით სჩადიოდა. ახლაც მოხერხებულად გადმოგვიგდო კრემლმა ანკესი და ჩვენ რომ გვეგონა, გემრიელი ლუკმით პირს ჩავიკოკლოზინებთო, ბოლშევიკურ კაუჭს გამოვეგეთ და მეთევზეს ისღა დარჩენია, მიირთვას ნანადირევი...

კარგახანია გარდაქმნის მოლოდინი გვაქვს, რადგანაც „პერესტროიკა“ გულუბრყვილოდ „გარდაქმნად“ ვთარგმნეთ. განა ინგლისურად, ესპანურად, ფრანგულად, გერმანულად, სხვა ენებზეც არ შეიძლებოდა მისი თარგმნა, მაგრამ არ თარგმნეს, მთელს მსოფლიოში უთარგმნელად ხმარობენ ამ რუსულ სიტყვას, რადგან იციან, რომ იგი სხვა რაღაცას ნიშნავს. გულუბრყვილობაა იმაზე ფიქრი, რომ საბჭოთა კავშირი რაიმეს დათმობს, რაც არ დაუთმია რუსეთის იმპერიას, ან უარს იტყვის იმაზე, რაც გუნებაში ჰქონდათ რუსეთის იმპერატორებს. ნურვინ იფიქრებს, მაგალითად, რომ ავღანეთში საბჭოთა არმია „ინტერნაციონალური ვალის“ მოსახდელად იბრძოდა. მიზანი სხვა იყო: ავღანეთის ხელში ჩაგდებით ირანთან საბჭოთა კავშირის საზღვარი ერთიორად იზრდებოდა და მას ვესაზღვრებოდით არა მარტო ჩრდილოეთიდან, არამედ აღმოსავლეთიდანაც (იკვრებოდა ნახევარი რკალი), ჩვენი კონტროლის ქვეშ აღმოჩნდებოდა პაკისტანიც და უფრო მეტი ძალა მიეცემოდა ჯერ კიდევ ხრუშჩოვის დროს არსებულ ლოზუნგს — „ჰინდი — რუსი ბხაი ბხაი“ და არც ისე შორეულ მომავალში გაიხსნებოდა გზა ინდოეთის ოკეანისკენ, რაზედაც თავის დროზე თვით ა. გრიბოედოვი ოცნებობდა! არც ვიეტნამის ომი გახლდათ ამერიკელთა ახირება, ამერიკის შეერთებულ შტატებს, ყოველ შემთხვევაში, ამდენი სისხლის ფასად არ სჭირდებოდა ვიეტნამის ტერიტორია, აშშ მხოლოდ წინ აღუდგა საშიშროებას, რათა საბჭოთა კავშირს არ მოექცია თავისი კონტროლის ქვეშ სამხრეთ ჩინეთის ზღვა, ინდონეზია, ფილიპინები და აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთის სხვა ქვეყნები. შემთხვევითი არ იყო აგრეთვე ცენტრალურ ამერიკაში კარიბის ზღვის კრიზისი, რამაც ლამის თერმობირთვულ კატასტროფამდე მიგვიყვანა.

ყოველივე ამის შემდეგ რა იმედი უნდა გვქონდეს, რომ საბჭოთა კავშირი დათმობს სტრატეგიულად მისთვის ესოდენ მნიშვნელოვან ბალტიის ზღვას ან ამიერ-კავკასიას? ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში იგრძნო რუსეთის დიპლომატიამ საქართველოს გადამწყვეტი სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა აზიის დასაპყრობად. პეტრე პირველის ცდა უნაყოფო გამოდგა, თუმცა, ვახტანგ მეექვსის ღალატით რუსეთის იმპერატორმა საქართველოს შემდგომ დასუსტებას მიაღწია. უფრო ნაყოფიერი გახლდათ ეკატერინე მეორის რუსულ-გერმანული დიპლომატია. გენერალ ტოტლებენის (საოცარი შეხამებაა ამ გვარში, ტოტლებენ გერმანულად „სიკვდილ-სიცოცხლეს“ ნიშნავს!) ღალატს ჩვენი ისტორიკოსები არა მარტო ერეკლეს, არამედ ეკატერინეს ღალატად მიიჩნევდნენ, სინამდვილეში იგი რუსეთის სამეფო კარის დავალებას ასრულებდა. ხოლო შემდეგ აღა-მაჰმად ხანმა აღასრულა ის, რაც ვერ შეძლო რუსეთის არმიის გენერალმა — კიდევ უფრო დაასუსტა საქართველო და ამიტომ 1801 წელს ალექსანდრე პირველმა იოლად დაარღვია გეორგიევსკის ფარისევლური ტრაქტატი. აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოს დაცემამ განაპირობა რუსეთის მიერ მთელი კავკასიის ხელში ჩაგდება, თურქეთის იმპერიის შემდგომი დასუსტება, ყირიმის სახანოს მიერთება და შავ ზღვაზე გაბატონება. რუსეთის დიპლომატიამ შესანიშნავად ისარგებლა ირანისა და თურქეთის უთანხმოებით, მათი რელიგიური ფანატიზმით და ამ სახელმწიფოებს უშუალოდ დაუმეზობლდა. თურქეთის დიპლომატიის საბედისწერო შეცდომა ის იყო, რომ მან გზა გადაუკეტა ევროპისკენ საქართველოს და აიძულა რუსეთის მფარველობა ეძებნა. თურქეთმა ვერც 1918-1921 წლებში გაითვალისწინა ისტორიის მწარე გაკვეთილები და, ეტყობა, მომავალშიც არ გაითვალისწინებს. ეს კი საბჭოთა კავშირისათვის დიდი გარანტიაა. თურქეთმა თუ საქართველოს გათურქება ვერ შეძლო, ვერც რუსეთმა შეძლო ამიერ-კავკასიის გარუსება, მაგრამ მან გაალრმავა კავკასიის ხალხებს შორის წინააღმდეგობანი და ამით დამატებითი გარანტიები მოიპოვა. მეფის რუსეთის დაწყებული პოლიტიკა საბჭოთა ხელისუფლების პირობებშიც გაგრძელდა, რამაც კავკასიის მკვიდრი ერები ბევრ შემთხვევაში კონფრონტაციამდე მიიყვანა. გულუბრყვილობაა იმაზე ფიქრი, რომ საბჭოთა კავშირი ამიერ-კავკასიას ნედლეულის გამო ვერ შეელევა (საქმაოდ გაალარიბა უკვე წიაღისეული), იგი არ დათმობს მას სტრატეგიული თვალსაზრისით! ამიერ-კავკასიის დათმობით საბჭოთა კავშირი კარგავს კონტროლს შავ ზღვაზე, აქედან გამომდინარე, მცირე აზიაზე, ირანზე და ემშვიდობება შორეულ ოცნებას, რომელსაც იგი ინდოეთისაკენ და საბოლოოდ ნახევარი მსოფლიოს ხელში ჩაგდებისაკენ მიჰყავდა.

განა ასე ადვილი დასათმობია ტკბილი ოცნება? მით უმეტეს, როცა ამ ოცნების განხორციელებას შეეწირა მრავალი თაობის სიცოცხლე, მათ შორის, დიდი პოეტი და დიპლომატი? ხომ გახსოვთ რსფსრ სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე რუსი გენერლის ნათქვამი: რას ჰგავს ეს, აღმოსავლეთ ევროპიდან ჯარები გამოგვყავს და ვტოვებთ მიწებს, სადაც ჩვენმა მამებმა სისხლი ღვარესო!

ნურვინ დამწამებს — თემას გადაუხვიაო. ოლიმპოზე და ზევსზე მოგახსენებდით. ასეთი საკითხები სწორედ ოლიმპოზე წყდება. გამოჩნდება ქვეყნად პრომეთე, რომელიც ზევსს ცეცხლს გამოსტაცებს და ქვეყნიერებას გაანათებს, პრომეთე-ამირანის ახსნა ჩვენი თაობის ვალია, ამისთვის ღირს სიცოცხლეც და თავგანწირვაც!

„სიტყვას არ გავტეხ, განმტკიცებულს სამარადჟამოდ.

და არ ასრულდეს — არ იქნება, რასაც კვერს დავკრავ!“

თანხმობის ნიშნად ძირს დახარა შავი წარბები,

მყისვე კრონიდის უკვდავ თავზე სურნელოვანი

თმები შეირხა და ოლიმპო იძრა დიადი...

მართალი ბრძანდებით, ეს „ილიადაა“. ზევსი რასაც გულში ჩაიდებდა, აღასრულებდა კიდეც. ხომ გახსოვთ, მისი ნებით როგორ გააბრიყვა ათენამ ჰექტორი და აქილევსთან შერკინებისას ცრუ იმედი ჩაუნერგა. აქილევსიც დარწმუნებული იყო, რომ თვითონ სძლია ტროელი გმირი, ის კი არ უწყოდა: ზევსმა ბედის სასწორზე გადაწყვიტა ყოველივე.

არ ვიცი, როდის გადაწყდა ჩვენი ბედი ოლიმპოზე, — პოლიტბიუროს სხდომაზე, მაგრამ ის კი ვიცი, რომ დღესაც ზანზარებს ოლიმპო, თუხთუხებს უძრაობის მანქანა და უფსკრულისაკენ მიექანება...

# საქართველოს ჰელსინკის კავშირის განცხადება

თენგიზ და ედუარდ გუდავები 1988 წლიდან იყვნენ საქართველოს ჰელსინკის ჯგუფის (შემდგომში კავშირის) პასუხისმგებელი წარმომადგენლები საზღვარგარეთ. საქართველოს ჰელსინკის კავშირისა და მისი თავმჯდომარის დისკრედიტაციის მცდელობისათვის, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაზე ცილისმწამებლური მასალების გავრცელებისათვის, საზღვარგარეთ საქართველოში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესთა ტენდენციური გაშუქებისათვის — რასაც შედეგად მოჰყვა დასავლეთში სამართალდამცველ მოღვაწეთა დეზორიენტაცია და პრაღის 1990 წლის კონფერენციის ყოვლად უსაფუძვლო № 24 რეზოლუცია-ბრალდება, ედუარდ და თენგიზ გუდავები გარიცხულნი არიან საქართველოს ჰელსინკის კავშირიდან და აღარ ითვლებიან მის პასუხისმგებელ წარმომადგენლებად საზღვარგარეთ.

**საქართველოს ჰელსინკის კავშირის გამგეობა, თბილისი, 1990 წლის 25 ივლისი.**

---

ალტერნატიული კუთხე

## საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების საბინაო საკითხთა კომიტეტის

# მიმართვა

ამ უკანასკნელ ხანს საქართველოს დემოგრაფიულ საზოგადოებაში შეიქმნა არაჯანსაღი მდგომარეობა.

საზოგადოების ჯანსაღი ნაწილის მოთხოვნას, შექმნილიყო მექანიზმი, რომელიც გამორიცხავდა შემოწირული თანხების არამიზნობრივ ხარჯვას ან მითვისებას, უარით პასუხობდნენ. არც თვითონ სდს წესდებით გათვალისწინებული სარევიზიო კომისია შექმნილა.

რადგან შიდა კომისიის ჩატარება შეუძლებელი გახდა, სდს საბინაო საკითხთა კომიტეტმა (რომელსაც გამგეობისაგან საწესდებო თანხაც კი არ გადაერიცხა, აკრძალული ჰქონდა ბინების შესყიდვა და საბინაო საჭიროებისათვის სესხების გაცემა!) განცხადებით მიმართა საზოგადოების ერთ-ერთ დამფუძნებელს, სდს გამგეობის საპატიო წევრს, ბატონ ზვიად გამსახურდიას, რათა გამოეგზავნა თავისი ნდობით აღჭურვილი პირები და საერთო ძალებით შემოწმებულიყო საზოგადოების ფინანსური საქმიანობა. გადასინჯულიყო სტრუქტურა.

საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილის ილია ბეგიაშვილის განკარგულებით დაილუქა ფინანსური დოკუმენტაცია და სალარო.

ამა წლის 13 ივლისს გამგეობის რიგგარეშე სხდომაზე მიღებულ იქნა დადგენილება პარიტეტული კომისიის შექმნის შესახებ.

გამოყოფილი მუშა კომისია როდესაც საქმიანობას უნდა შესდგომოდა, სდს წესდების გაუთვალისწინებლად, გამგეობასთან შეუთანხმებლად, გამგეობის თავმჯდომარის ლევან სანიკიძის მონაწილეობის გარეშე შეიქმნა ე. წ. „თავდაცვის შტაბი“ ილია ბეგიაშვილის ხელმძღვანელობით. მიზანი: „საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების ყველა პირველადმა, რაიონულმა და რეგიონულმა ორგანიზაციებმა, აგრეთვე სდს-ის მიზნობრივმა კომიტეტებმა, მათდამი დაქვემდებარებულმა დაწესებულებებმა არ დაუშვან მათი საქმიანობის შემოწმება არც ერთი სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციის მხრიდან...“

საკითხავია, ვისგან და რატომ იცავს თავს დემოგრაფიული საზოგადოების რამოდენიმე კაცისაგან შემდგარი ჯგუფი?

სდს საბინაო საკითხთა კომიტეტის მუშაკები არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ ეკუთვნიან. ისინი თანამშრომლობენ სოციალურ საკითხებში ნებისმიერ ფორმალურსა თუ არაფორმალურ ორგანიზაციასთან, რომელიც ქართულ ეროვნულ პოლიტიკას ატარებს.

შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, მოვითხოვთ, სახელმწიფო თუ საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა კეთილი იწებონ და შეამოწმონ, სად მიდის ხალხის მიერ ხალხისთვისვე შემოწირული თანხები, საჯაროდ მოხსენდეს საზოგადოებას თითოეული დახარჯული კაპიკის ბედი.

**საბინაო საკითხთა კომიტეტი**

**დალი ფიროსმანაშვილი,**
**ნოდარ კობაიძე,**
**ნათელა მოხევიშვილი,**
**მალხაზ ამანათიძე,**
**თენგიზ ბრემაშვილი,**
**ლია ბალავაძე,**
**ციცინო პეტრიაშვილი,**
**თენგიზ ტრაპაიძე.**

---

# არის საქართველოს სამეცნიერო-საწარმოო კონცერნი

საქართველოს მოსახლეობის ცოცხალი თევზით უზრუნველყოფის მიზნით, მეთევზეობის, თევზჭერისა და თევზის გადამამუშავებელი საწარმოს ინიციატივით 1990 წლის 6 ივლისს შედგა დამფუძნებელი კრება, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს მეთევზეობის სამეცნიერო-საწარმოო **კონცერნის** შექმნის შესახებ.

კონცერნის მიზანია, საქართველოს მასშტაბით მეთევზეობის დარგში დასაქმებულ საწარმოებს, მეთევზეობის სამეცნიერო კვლევით დაწესებულებებს, იმ ორგანიზაციებსა და საწარმოებს, რომელთაც მეთევზეობის დამხმარე მეურნეობები გააჩნიათ ან სურთ მათი შექმნა, აგრეთვე მეთევზეობის კოოპერატივებს და კერძო პირებს, გაუწიოს კოორდინაცია მათ საქმიანობაში.

კონცერნში გაერთიანებულ ორგანიზაციებს გაეწევათ ქმედითი დახმარება კომბინირებული საკვებით, თევზის ჩასასმელი მასალით, მაღალხარისხოვანი მწარმოებლებით, თევზის საჭერი ბადე-იარაღებით უზრუნველყოფისათვის. მათ გაეწევათ დახმარება იქტიოპათოლოგიური მომსახურებით, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვასა და არსებული რეზერვების გამოვლენასა და ამოქმედებაში.

კონცერნი დაამყარებს საქმიან ურთიერთობებს საზღვარგარეთის ქვეყნებთან და შექმნის სავალუტო ფონდს.

კონცერნში შესვლა ნებაყოფლობითია.

დაინტერესებულ ორგანიზაციებსა და მოქალაქეებს ვიწვევთ კონცერნში.

ჩვენი მისამართია: თბილისი — 0038072, მუხიანი, მეოთხე-ბ მ/რ, 29-ე კორპუსი. ტელეფონი: 67-01-81; 67-00-81.

**საქართველოს სამეცნიერო-საწარმოო კონცერნის საბჭო**

---

# ჩვენც ვცოდეთ...

**დღეს** ძალიან ბევრს მსჯელობენ და ფიქრობენ ჩვენს ხვალინდელ დღეზე — ახალგაზრდებზე, ყველას აშფოთებს და აწუხებს მათი ბედი, თუ ასე გაგრძელდა — ერი მოკვდება, აღიგვება... ახალგაზრდობის პრობლემა ყველაზე აუცილებელი და უმთავრესია, რა აზრი აქვს ჩვენს არსებობას, თუკი იმ ყლორტებს გავანადგურებთ, რომლისგანაც ხვალ ჩვენი მომავალი უნდა ამოიზარდოს. მე ორი შვილის დედა ვარ და მზარავს იმის გაფიქრებაც კი, თუ რა იქნება ხვალ, როგორ იცხოვრებენ, რით იარსებებენ? ამაზე, ალბათ, ყველა უნდა დაფიქრდეს. მაგრამ რატომ დაგვიდგა დღეს ეს პრობლემა ასე ცხადად? ნუთუ არაფერს ვფიქრობდით გუშინ, გუშინწინ? ნუთუ არ ვფიქრობდით, რომ ჩვენივე ხელით ვსპობდით მათ რწმენას, იმედს, ნუგეშს? რამ მიგვიყვანა აქამდე?...

„მე კი ვფარავ, მაგრამ ჩემი სატკივარი არა ფარავს...“ დიახ, ვფარეთ, სანამ შევძელით, ვფარეთ, ვიდრე ამ ყოვლადგაუმართლებელმა ფარვამ თავისი მწარე ნაყოფი არ გამოიღო. ვფარეთ „ნიჭიერი“ მოღვაწენი, ვფარეთ ყველა რანგისა და ყველა ჯურის მაქინატორები, ყველამ კარგად ვიცოდით, ვინ ტრიალებდა ჩვენს გვერდით (ზოგი მათგანი კი დღეს ახალ „ამპლუაში“ ეროვნულ კაცადაც მოგვევლინა), მაგრამ ხმამაღლა ხოტბას ვასხამდით (და დღესაც იგივეს ვაგრძელებთ) მათ „ნიჭს“, „გაქანებას“, „ერუდიციას“... ვყიდეთ ნიშნები, ატესტატები, მედლები, დიპლომები, დისერტაციები, ადგილები (უმეტეს შემთხვევაში, იგივეს ვაგრძელებთ დღესაც)... ვყიდეთ ყველაფერი, რაც კი ადამიანის სინდისსა და პატიოსნებას შეადგენს. სამაგიეროდ, შევიძინეთ შური, მტრობა, ბოროტება, ვერაგობა, დაბეზღება, გაუტანლობა და ათასი რამ, რაც ისტორიულად შინაურმა თუ გარეშე მტრებმა სამახსოვროდ დაგვიტოვეს, ქართველები კი საოცრად ნიჭიერნი ვართ, ძალიან მალე ვითვისებთ ჩვენთვის უცხოს, მიუღებელს, ვითვისებთ და მერე ისე ვითვისებთ, რომ იმ სხვასაც ვაჭარბებთ...

ახლა გვიანია თითზე კბენა. აი, რატომ დავეშვით ასე, აი, რატომ მოხდა, რომ უძველესი კულტურისა და ზნეობის ქვეყანა დღეს უზნეობისა და უკაცურობის მორევში იღრჩობა. სადამდე მიგვიყვანა ჩვენმა გამუდმებულმა თავის ქებამ, ულირსის აღზევებამ, ყველაფრის მალვამ და ფარვამ, „მაგრამ ფარვა სიავისა, ქვეყანას არ მოუხდებისო“-ო, გვაფრთხილებდა დიდი პოეტი და აკი, ახდა კიდეც მისი სიტყვები. ათასგზის იავარქმნილი ქვეყანა კვლავ ფეხზე დგებოდა ხოლმე და კვლავ იწყებდა აღორძინებას, აყვავებას, დღეს კი გვიჭირს ფეხზე წამოდგომა, გვიჭირს, რადგან მხოლოდ გარეგნულად შეგვტკივა გული, რადგან ჩვენში ძალიან ცოტაღა დარჩნენ ნამდვილი, წრფელი პატრიოტები, ხოლო ცრუ ერისკაცნი, ცრუ მეცნიერნი, ცრუ ადამიანები საოცრად მომრავლდნენ.

დღეს, როდესაც ასე განვიცდით ყოველივეს, მიზეზებს ვიძიებთ და ვეძებთ გზებს პირის მოსაბრუნებლად, იმ ლაქის ჩამოსარეცხად, რომელიც წლების მანძილზე მარტო სახეზე კი არ მოგვეცხო, არამედ მთლიანად სული და გრძნობა გაგვიბინძურა, ყველას გვავიწყდება, რომ დაცემა უფრო იოლია, ვიდრე ამაღლება, გასპეტაკება. შევიძლებთ კი ამას. სიცრუესა და სიყალბეზე მრავალი თაობა აღიზარდა და ეს ერთი ხელის მოსმით არ გაკეთდება. განა დღეს დაუფარავად ვამბობთ სიმართლეს? განა სულ იმის შიშში არა ვართ — ვაი თუ?!.. ამიტომ ისევ სიჩუმეს ვარჩევთ, ისევ ვხუჭავთ თვალებს, თუ ჩვენს გვერდით ოცი-ოცდაათი კაპიკის გულისათვის ვაჭარს შავ დღეს ვაყრით (ვაჭარი ვაჭარია. მისი ხელობა ეს არის), სამაგიეროდ იმათ, რომლებიც ათასებს ითვისებენ, ადგილებს ჰყიდიან, ადამიანობას, სინდის-ნამუსს ფეხქვეშ თელავენ, მორიდებით ვუხრით თავს, პატივს მივაგებთ, გულშიჩამწვდომ და გულისამაჩუყებელ სადღეგრძელოებს ვეუბნებით და ყველას დასანახად ვაჩვენებთ მათ ჩვენს მონობას, ჩვენ უპრეტენზიობას.

სასიხარულოა, რომ ბევრი მათგანი დღეს უკვე მხილებულია, მაგრამ დარჩა მათი დიდი ნაწილი, რომლებიც ასე ფიქრობენ: „მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტიაო“ და ერთი ათად ზრდიან „ტაქსას“... სამწუხაროდ, დღეს ასეა, ხვალ იქნებ სხვაგვარად იყოს და უნდა იყოს კიდეც, თუკი გვინდა მართლა განვიწმინდოთ და არ დაგვიდგეს განკითხვის ჟამი, თუკი უკვე არ დაგვდგომია.

რატომ გახდა ახალგაზრდობის ერთი ნაწილი ყველაფრისადმი გულგრილი? რატომ არჩევენ ისინი ყველაფერს გაბრუებას, აღვირახსნილობას, ზნედაცემულობას, საიდან იწყება მათი გადაგვარება? იქნებ იქიდან, რომ ქართველ დედებს დაგვავიწყდა დედაშვილობის ღვთიური საგალობელი „ნანა“, იქნებ საბავშვო ბაღებიდან, სადაც 30-40 ბავშვზე ერთი აღმზრდელი მოდის და ყველას ვერ აქცევს ყურადღებას, იმ ბავშვებში კი ყოველ აღმზრდელს თავისი რჩეულები ჰყავს, იმათი შვილები, მოკლებულნი ვერ გახდებიან ღირსეული მათემატიკოსები, ქიმიკოსები, ბიოლოგები და სხვა, მათ არასოდეს შეაწუხებთ ერის სატკივარი და ჩვენ ვხედავთ ასეთმა „ღრმა“ სპეციალისტებმა, თუ სადამდე მიიყვანეს ეკოლოგია, ეკონომიკა, სულიერი და ზნეობრივი ცხოვრება. ბავშვს, მოზარდს მშობლიური ლიტერატურა უვითარებს იმ მეცნიერ გრძნობას, რომელიც ასე საჭირო და აუცილებელია ყველასათვის. ჩვენდა სამწუხაროდ, ისეთი გამომცემლებიც მომრავლდნენ, რომლებიც უკვე აშკარად, ყველას დასანახად „ხელშეკრულებას“ დებენ მშობლებთან, ახლობლებთან, კარგავენ სინდისს, პატიოსნებას და ის, რომელმაც მომავალი თაობა უნდა აღზარდოს, რომელიც ხვალ იმ მოზარდთან უნდა შევიდეს და მას მარტო საგანი კი არა მორალი, ზნეობა უნდა ასწავლოს, თავად არის ამორალური, უზნეო, მექრთამე... ამას ხომ ჩვენი შვილები კარგად ხედავენ? ესმით?....

ახალგაზრდობის ერთი ნაწილი სუსტია, არ არის მიჩვეული დამოუკიდებლობას; ესეც ჩვენი ბრალია, ვერ უმკლავდებიან ისინი ბოროტებას, რადგან ხედავენ, სიგლახე, ავი ხშირად იმარჯვებს, ხედავენ ამას სახლში, ბაღში, სკოლაში, უმაღლესში, სამსახურში. ხედავენ და ფიქრობენ, რომ ამაოა ყოველი, ხედავენ, რომ პატიოსნებით, მაღალზნეობით არაფერი გამოდის და ისინიც ეშვებიან ნელ-ნელა დაბლა, ისეთიც არავინ ჩნდება, რომ ამ დაშვებისაგან იხსნას, რადგან ყველას თავის საზრუნავი და საოხარი აქვს. თუ აქვს ახალგაზრდას ბრძოლის უნარი, თუ აქვს შინაგანი ძალა, მაშინ იგი იმარჯვებს ჩვენდა სასახელოდ, მაგრამ ყველას ეს არ შეუძლია. ჩვენ, მოზრდილები, პირად მაგალითზე უნდა ვზრდიდეთ მათ, ჩვენ კი რას ვაჩვევთ მათ? გვაქვს კი ჩვენ სინდისი სუფთა, ზნეობის სიმაღლე, სისპეტაკე და შეურიგებლობა?! და აი, შედეგიც სახეზეა... „ცემა გმართებს გამზრდელისა“-ო, ბრძანებდა დიდი შოთა, დიახ, ჩვენ, ჩვენა ვართ მათი დაცემის ხელისშემწყობნი... იქნებ ღირს ამაზე დაფიქრება და როდესაც ხმამაღლა ვყვირით — რატომ მივედით აქამდეო, საკუთარ თავშივე ჩავიხედოთ და გავიაზროთ ვინ, სად, როდის ვცოდეთ?....

„აწმყო შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა“ გვიმეორებდა ლეიბნიცის სიტყვებს ილია ჭავჭავაძე, დიახ, აწმყოს წარსული შობს, მომავალს კი დღევანდელი დღე და დღეს, ისე როგორც არასდროს, როდესაც ხელახლა ვიწყებთ აღორძინებას, ძველის უარყოფას — ყველა უნდა გავერთიანდეთ, ყველამ უნდა შევიგნოთ, რომ ყოველი ბავშვი, მოზარდი, ახალგაზრდა ჩვენი სატკივარია, დავივიწყოთ პირადი ანგარება, ამბიციურობა, ჩავდგეთ ჩვენი მომავლისა და ერის სამსახურში, ყოველმა მშობელმა, ბაღისა თუ სკოლის აღმზრდელმა, უმაღლესი სკოლის პედაგოგმა ვიფიქროთ, რომ ჩვენვე ვუქმნით მათ მომავალს, ჩვენ ვაყალიბებთ მათ პიროვნებებად და ყოველი მათი ნაკლი, ცუდი ჩვევა — ჩვენგანვეა გაპირობებული, ჩვენგან დაშვებული შეცდომების შედეგია, ვაღიაროთ წარსულის შედეგები, პირბადე ბოლომდე ჩამოვიხსნათ და ნათელი სახით შევხვდეთ სხივმოსილ მომავალს.

ან იქნებ სკოლაში ხდება მათი რწმენის შერყევა? სადაც ჯერ მშობლები ვეჯიბრებით ერთმანეთს, ვისი შვილი უფრო ძვირფასად ჩაცმული მივა, შემდეგ ვიწყებთ პედაგოგებთან გაუთავებელ ვიზიტებს, არც ისინი გვრჩებიან ვალში და იწყება წმინდა წყლის ვაჭრობა ყოველ ნიშანზე, ბავშვის თვალები კი დიდია, ისინი ყველაფერს ხედავენ, ყველაფერს ითვისებენ, იმახსოვრებენ, მათ კარგად იციან, თუ რა თვისებებით გამოარჩევს ხოლმე ესა თუ ის ულირსი პედაგოგი (მაპატიეთ, მაგრამ სხვა სიტყვას ვერ ვიმეტებ იმ აღმზრდელებისადმი, რომლებიც მოსწავლეების მშობლების ხარჯზე აკეთებენ ძვირადღირებულ რემონტებს, შოულობენ სხვადასხვა დეფიციტურ საქონელს თუ სხვა და სხვა, რა დალევს ამ სიას) კლასში თავის კერპს, და რატომ, რა მიზნით უწერენ მას ნიშანს, ასე ნელ-ნელა ეჩვევიან ისინი სიცრუეს, კარგავენ რწმენას, სიყვარულს, პატივისცემას.

...მე ბევრი ოჯახი მინახავს, სადაც ასანთის ღერიდან დაწყებული უკანასკნელ ჰალამდე უცხოურია, წიგნის კარადებიც გამოტენილია ხელუხლებელი წიგნებით, მაგრამ იმ კარადებში ვერ აღმოაჩენთ ილია ჭავჭავაძის ვერც ერთ გამოცემას, სხვას რომ თავი დავანებოთ ვერც ვაჟას „შვლის ნუკრის ნაამბობს“, და შემდეგ ასეთ ოჯახში აღზრდილებმა, თუ ღმერთმა ქნა და ვერავითარი ხერხებით ვერ შეძლეს უმაღლესში გამოცდის ჩაბარება, ატყდება ერთი ალიაქოთი, ჩემი შვილი ასეთი და ასეთი ნაკითხია და ნიშანი როგორ დააკლითო, კი, ბატონო, ფილოლოგიურზე მოეთხოვებათ ქართულის ცოდნა, მაგრამ საინჟინროზე, სავაჭროზე, საექიმოზე და ასე შემდეგ რა საჭიროა ქართული ლიტერატურის ღრმა და საფუძვლიანი ცოდნაო? ჩვენდა სავალალოდ, ეს ფაქტია, მათ ავიწყდებათ, რომ მშობლიურ ნიადაგს და ფესვებს

რომლებიც ასე უხვად და თვალისმომჭრელად ასაჩუქრებენ აღმზრდელ-პედაგოგებს, ზოგჯერ გული მწვიკვდება, საბავშვო ბაღში შესულები, რომ დავინახავთ ჩვენი შვილები უპატრონოდ მიყრილები როგორ ესვრიან ერთმანეთს ხან მიწას, ხან ქვებს, ხან ყურისმომჭრელი „ლამაზი“ სიტყვებით ამკობენ ერთურთს, აღმზრდელები კი იქვე სკამებზე ჩამომსხდარნი გაალმასებული საუბრობენ, არჩევენ „საჭირბოროტო“ საქმეებს და მთავარი კი ავიწყდებათ. სწორედ ამიტომ მოგვყავს ჩვენი შვილები ხან თავგატეხილნი, ხან მუხლებდაგლეჯილნი, გაჭუჭყიანებულ-დაბინძურებულნი, ახალი „საუკეთესო“ ლექსიკით აღჭურვილნი. იქნებ იქ ვუშვებთ შეცდომას, როდესაც ყოველდღიური საქმეებით გადაღლილები პატარებს ლამაზ, ფერად ზღაპრებს კი არ ვუამბობთ, ფირსაკრავს ან ტელევიზორს ჩავურთავთ და ათასჯერ ნანახსა და მოსმენილს ხელახლა ვასმენინებთ (საუბედუროდ, არც ამით არიან ჩვენი შვილები განებივრებულნი, კანტიკუნტად თუ შეხვდებით ქართულ ზღაპრებს ფირფიტაზე ჩაწერილს ან გადაღებულს).

**ნათელა იმედაძე,**
**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმის მეცნიერ-მუშაკი.**

**გთხოვთ, ჰონორარი გადაურიცხოთ საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის თბუ საბჭოს (ანგარიში თბილისის ვაკის (ყოფილი ორჯონიკიძის) რაიონის ბინსოცბანკი, № 000700416).**

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ნ-ს

შემეშინდება ფიქრთა არეკვლის,
როცა უცნაურ დუმილად მოვალ
დღეს განწირული ჩემი სამრეკლო
ისმენს დამსხვრეულ კერპებთა გლოვას...

შემეშინდება ასიათასი
და უფრო მეტი ხმების და ჩრდილის,
მაპატიე, რომ ვერ შეგითავსე,
ტკივილში როცა ტკიოდა ტკივილს!...

●

მე ამ ოთახში ვიღაც მეძახის
ასჯერ ნათქვამი ათასჯერ მითხრეს —
გარეთ კი ქარი — ქუჩის მეძავი
დაფეთებული ვიღაცას ითრევს...

დგას სილუეტი კოშმარულ ღამის,
განწირულია დღეთა წვალება —
წუთებში ისევ ცახცახებს წამი,
რაღაც მახარებს და მენანება...

**ნუკრი ნადარაია**

### ირაკლი ბაზაძეს

განათებული ჩანან ხედები...
შენ მთვარის სულში რომ იხედები,
ცას უერთდები ვით განთიადი...
ყოვლის წამლეკი, ყოვლის მმოსრავი,
მიწდება ყველა გვირგვინოსანი —
მარადიული ფარავს წყვდიადი!

ვინ თქვა მერმისი სისხლის გარეშე,
სიცოცხლე, როგორც მზე მოთარეშე...
თავისუფალი იყო მსახური;
ყოვლის მქირდავი, ყოვლის მგმობელი,
რაზე ხარხარებს ბრბო ულმობელი
დრო — წარმავალი და უსახური!

ბნელში მზაკვართა მზერა იელვებს,
ვერ ურიგდები სიცარიელეს,
გეწვის თვალებში ცეცხლი — ფაფარი...
ამ ხარო-დილეგს ვერ ურიგდები,
გძმობენ ჰაშიშით მთვრალი რინდები,
აქ რომ ვერ ნახეს თავშესაფარი.

გაყვითლებული, როგორც ფოთოლი,
ანდა კვირტები ჯერაც თოთონი
დაიკარგები მთების უბეში...

ვინ დაგვამზგავსა მთელი ცხოვრებით
მაწანწალები და მათხოვრები,
ქვეყნად რომ ველარ ჰპოვეს ნუგეში.

ფრთონავს სანთელი... სითბო ღვთიური
და სიყვარული მარადიული
სად ჩაიშრიტა, ღამის მთეველი...
ქრება კერპები ათასნაირთა,
ღმერთო მაღალო, რისთვის? საიდან? —
მაინც ამდენი ფარისეველი!

ო, მითიური სუნთქავს ნერგალი...
ნერგალი, როგორც მხამით ეკალი,
მოწამლულია ცოდვით ჰაერი;
მადლის მტვირთველი არ ჩანს არავინ
და სიკვდილივით გულშემზარავი
აბელის გვერდით დგება კაენი!

განათებული ჩანან ხედები...
შენ მთვარის სულში რომ იხედები,
ცას უერთდები ვით განთიადი...
ყოვლის წამლეკი, ყოვლის მმოსრავი,
მიწდება ყველა გვირგვინოსანი —
მარადიული ფარავს წყვდიადი!

**ელგუჯა მარღია**

### ნაცნობ პოეტს

თავს რომ ქურდულად დაგესხას მკვლელი,
რომ გამოგლადროს ყელი ეშვებით,
ან რომ დაიქცეს ქვეყანა მთელი,
შენს სათქმელს მაინც ნუ შეეშვები.

დაე აგიკლონ წყევლით და კრულვით,
მარცხით დასრულდეს შენი ძიება,
ქვად ნუ გექცევა ოღონდაც გული
და შეცდომები — გეპატიება!

ნუ უფრთხი სირცხვილს და თავის მოჭრას,
თვით მოევლინე ცოდვებს ჯალათად...
პოეტს ღალატი რა ფეხებს მოსჭამს,
საკუთარ თავს თუ არ უღალატა!

### თავისუფლება

დროს მიაქვს ჩემი სისხლი და ხორცი
წლების ჰუჰყი და წლების ნაგავი,
ყველაფრის ქონას ჯობია, როცა
არაფერი გაქვს დასაკარგავი.

ძლივს გავაღწიე ოცნების გაღმა,
არ ღირს სიცოცხლე გულის ფეთებად,
სულს დავატარებ სხეულში ნაღმად
და სადაც არის — ამიფეთქდება!

ყველა თვალსა და ხელს შუა მკარგავს,
რადგან დასრულდა ჩემი კირთება
და ახლა სული მთას მომწყდარ ზვავს გავს,
გზას რომ არავის არ ეკითხება.

**თემურ ცერცვაძე**

●

მენანება, ხვალ რომ მხარზე გამიდებენ,
როგორ მსურდა ლაღად ფრენა კამარებში.
— სამარეში მკვდრები სულ ვერ გამიგებენ,
მკვდრებს თვითონაც ვერ გავუგებ სამარეში.

სახსენებელს ვით დაფაზე ნაწერს ცარცით,
წაშლის ჩემსას, ბედი რისხვით გადმოსული.
ცოცხლებს შორის მარტოსული გერქვა კაცი
მკვდრებს შორისაც კაცი მქვია მარტოსული.

●

ირგვლივ ქარი... ბობოქარი ზღვები...
მძიმე ფიქრით ნაწამები სახე...
ახლა უფრო იშვიათად ვყვები,
რაც ამქვეყნად გაჭირვება ვნახე.

დავდიოდი მტვრით დაფარულ გზებზე,
ღრმა ტკივილი ველარაფრით ვძლიე,
ყველაფერი როგორ გითხრა ჩემზე,
ვიცი, გული გეტკინება ძლიერ.

**თემურ ფირცხალაიშვილი**

### ბოლო აპრილი

უსაზღვროება აღმოსავლური.
მზე. გამითება. რთული ხედები.
თაკარა ღამის მართავ კარნავალს.
იხარჯები და... უცებ ბერდები.
და საფლავებზე დაეძებ სულებს.
უსაგნო ყოფა. ბლანტი ჰაობი.
მაინც სხვაგვარი ფეთქვა აპრილის —
სიმსუბუქის და მომხიბლაობის;
და უცნაური მეტამორფოზა.
მშრალი დიქცია. გრავიურები.
შუაგულ ზაფხულში იდილიური
აღმოსავლეთის „ძველი ხურვება".
მირაჟის კართან იცდის სატანა
იაფფასიან კომპლიმენტებით.
უკვე ამთავრებ ბოლო კარნავალს
იხარჯები და... უცებ ბერდები.
დაგვაქვს და დაგვაქვს ცოდვილი გვამი,
დაქანცული და პრიმიტიული.
ეტიუდებში ორღანი, ჯვარცმა,
ან უფრო შორი და მითიური
ზღვაში შეჰრილი ყვითელი ზოლი
დღეს ტკივილამდე რომ გეცნაურა...
საფლავის ყველა გაცივდა ლოდი
და აღარ რჩება სხვა სასწაული.
მაინც ტიტები. ძველი სონატა.
მკრთალი ფერები რეპროდუქციის.
იმსხვრევა სულში ნაჩვევი სევდა
და დაბზარული ცივი სიცილი.
საფლავებზე კი დაეძებ სულებს
უსაგნო ყოფა ბლანტი ჰაობი.
მაინც სხვაგვარი ფეთქვა აპრილის —
სიმსუბუქის და მომხიბლაობის.

**ნინო ხაბეიშვილი**

### აღსარება

შენ რომ ყველაფერს იკადრებ და ჩაიდენ ვიცი
ნამუსს დაჰკარგავ თაღლითის და მზაკვრის დაცვაში
დაგავიწყდება მიცემული უფლისთვის ფიცი
გროშად გამყიდი, ანდა გამცვლი ქალის სჯცვალში.

შენ სიმაღლესაც მოიპოვებ უგონო ხალხში
ვინც კახპა ბედის კამათლები „დუშაშზე" დასვი
შენ ავაზაკებს ჩაუდგები სისხლიან კვალში
ეშმაკს იწამებ და ფარფატა ანგელოსს დასვრი.

მარად ორგული სხვას უმზადებ სასტიკ ფათერაკს,
ცდილობ შენს ნაცვლად სხვა გაებას უბედიან შარში,
თუმცა მიცინი, ვიცი ჩუმად მალავ სატევარს
დედას მიტირებ მოგეცემა როგორც კი შანსი.

გაგამართლებენ ეს ბრიყვები უთუოდ ჩემს წინ
თავად ცოდვილი უცოდველებს იკლებ გინებით,
შენს სიყვარულსაც მიითვისებ უთუოდ ჩემს წილს
შენ ამეამადაც ჩემს ოცნებებს ეპოტინები

გიმეგობრებენ მეგობრობით ალალით, ნაღდით,
მე გამწირავენ უსათუოდ შენი მცდელობით,
მე მარტოსულის განაჩენი გონებას ამხდის
შენ შავ ჯაჭვებს გააგრძელებ უდარდელობით.

მე, მე ვეკითხო, უნდა ვიყო როგორმე მშვიდად,
ნაძალადევად შევირიგო მოსისხლე ბედი,
უნდა ფარული მრისხანება მიგლეჯდეს შიგანს
და თავად მეფემ — ლაჩარ მონას გიხარო ქედი...

**გოჩა ხარაცაული**

### დედას

ღამე ნაზად მონანავე ცაცხვზე წვება,
მთვარის შუქი უხმოდ მიდის ზართან.
სოფლის გზაზე აღარავინ მელოდება...
დედაჩემის სასაფლაოს გარდა.

იქ წევს ჩემი გაყინული სიყვარული
და წარსული აცრემლდება დარდად.
საფიცარი აწი არვინ მეყოლება
დედაჩემის სასაფლაოს გარდა.

ღამე ნაზად მონანავე ცაცხვზე წვება,
მთვარის შუქი უხმოდ მიდის ზართან,
სოფლის გზაზე აღარავინ მელოდება...
დედაჩემის სასაფლაოს გარდა.

**ზურა ჯაფარიძე**

# რა კარგი ყოფილა სოციალიზმი(?!)

(დასასრული)

ოჯახები, მათთან მოხვედრილიყვნენ.

მიმაჩნია, რომ სრულიად არაა სავალდებულო ჩვენი სტუმრები ფეშენებელურ სახლებში დავაბინაოთ და გაუთავებლად ვაგრიალოთ დილიდან საღამომდე. სტუმრები უნდა მივიღოთ ჩვენს უსახურ მასივებშიც. მერე რა რომ წყალი იშვიათად მოდის, შესასვლელები ნაგვიანია, მისასვლელი გზები დანგრეული, სამაგიეროდ ამ დისკომფორტს, გონიერი მასპინძლის მიერ შექმნილმა ინტელექტუალურმა გარემომ უნდა გაუკეთოს კომპენსაცია და არა მხოლოდ ქართულმა კაშკ. რეულომ.

ამერიკაში მივლინებულ პიროვნებასაც ბევრი რამ მოეთხოვება. ყველამ ვიცით ჩვენი გაჭირვება, ვიცით, რაოდენ სასიხარულოა ახლობლისათვის საჩუქრის ჩამოტანა, მითუმეტეს ისეთის, ამერიკაში რომ შეიძენ, მაგრამ აქაც თავშეკავება გვმართებს.

არ მინდა მკითხველს შთაბეჭდილება დარჩეს, თითქოს მე რაღაც პრეტენზიები მაქვს წასვლაწამოსვლაზე. არავითარ შემთხვევაში. თუნდაც იმიტომ, რომ ენა არ ვიცი იმგვარად, რომ კაცი მივიღო და მასთან ახლო ურთიერთობა დავამყარო, ისეთი ნორმებით, როგორც ამას მე ვთხოულობ. მაგრამ ეჭვი არ მეპარება, რომ ამ ფუნქციას უამრავი ქართული ოჯახი პირნათლად შეასრულებს და ჩვენს სტუმრებს ჭეშმარიტად შეაყვარებს ჩვენს ქვეყანას.

მე მინახავს ბატონ ზურაბ კაკაბაძის ოჯახში ერთი ლენინგრადელი რუსი, რომელსაც სწორედ ბატონი ზურაბისა და მისი გარემოცვის სიყვარულით შეუსწავლია ქართული ენა, ვიცი კიდევ ერთი ოჯახი, რომელთან ურთიერთობაში ორი რუსი დაგვიძმობილდა. ერთი მათგანი, ვალენტინ შილინი, გორკელია, გორკის საავტომობილო ქარხანაში მუშაობს და თუ რაოდენ კარგად უსწავლია ქართული, ამის დასტურად მის მიერ ჩემთვის გამოგზავნილი ბარათები გამოდგება. მეორე, მოსკოველი პეტრე პერცოვი იმ ოჯახისა და მისი მეგობრების სიყვარულმა საქართველოში ჩამოიყვანა. მან იმდენად საფუძვლიანად შეისწავლა ქართული ენა, რომ შემდგომში ჩვენი უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა ქართველური ენების განხრით.

საზღვარგარეთ გაგზავნილ კაცს იმდენი გონიერება უნდა ჰქონდეს, რომ ყიდვა-გაყიდვის გარდა, მისი მოგზაურობა, ჩვენ საერთო საქმესაც წაადგეს.

ნიკო ნიკოლაძემ ევროპაში თუ რამ პროგრესული შენიშნა, ყველაფერი ჩვენთან დანერგა. მისი შემოტანილია ზვრებში ვაზის მწკრივად განლაგება, ღვინის საწური მანქანები, ცემენტის ტექნოლოგია, სპეციალური ჯიშის ქათამი, ჩვენ რომ სამტრედიულად ვიცნობთ, ხოლო დიდ ჯიხაიშში ახლაც „ნიკოლაძის ქათმად" მოიხსენიებენ და კიდევ უამრავი რამ.

ყველას ნიკოლაძეობას ვერ მოვთხოვთ, მაგრამ გონიერი, დაკვირვებული კაცი ბევრს ისეთს შენიშნავს ამერიკელთა პრაგმატულ ცხოვრებაში, რომ ჩვენ წაგვადგეს. მახსენდება ბატონ გელა ჩარკვიანის ამერიკული შთაბეჭდილებები, თუ არ ვცდები „თბილისში" იყო დაბეჭდილი. უამრავი ჩვენთვის სრულიად უცნობი ნიუანსი შეუნიშნავს მას ამერიკელის ყოფაში, რომელთა შეთვისება არც ჩვენთვის იქნებოდა ურიგო. გარდა ამისა, იქ წასულმა კაცმა უნდა მოიძიოს საქმიანი კონტაქტები, სახვალიოდ რომ ჩვენს მამულს გამოადგება.

კიდევ ერთ პრობლემას მინდა შევეხო. მეტად მომრავლდა ერთობლივი საწარმოები. ვინ ხელმძღვანელობს ამ ორგანიზაციებს ჩვენი მხრიდან? ვინ ნიშნავს მათ? ამას წინათ საგაზეთო ინფორმაციაში მოხსენიებული იყო, რომ ერთ-ერთ ასეთ გაერთიანებას მინისტრთა საბჭომ სასტიკი უარი უთხრა მადნის კონცენტრატის უცხოეთში გატანაზე, როგორც საქართველოსთვის ეკონომიკურად სრულიად გაუმართლებელ აქციას. მაგრამ გადაწყდება კი ყველა ანალოგიური საკითხი სკრუპულოზურად, ან და ჩვენი ერის სასარგებლოდ? ხომ ცხადია, რომ ამ ერთობლივი საწარმოების მესვეურები ჩვენი პარტიული და საბჭოთა ფუნქციონერებისაგან კომპლექტდებიან. რა დღეში ჩაგვაგდეს მათ, როგორ გაგვაჩანაგეს, ცხვირწინ მამული გაგვისხვისეს, ვშიშობ, ისე არ მოხდეს, რომ ხვალ ჩვენი ავლადიდება დასავლეთში აღმოჩნდეს გაყიდული, ამიტომ ამ საკითხზედაც კარგად დაფიქრება გვმართებს. არ იქნება ურიგო, თუ ამ პრობლემების გადაწყვეტისას რუსთაველის საზოგადოება მიიღებდა მონაწილეობას შეცდომებიდან თავის აცილების მიზნით.

**ჯუმბერ ბანთაძე,**
**ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, გიორგი ნიკოლაძის პრემიის ლაურეატი.**

ხსოვნა

# მოწამებრივი მსახურების გზა



დიდი ხანია საქართველო ასეთი ღრმა ძაძებით არ შემოსილა, დიდი ხანია არ დაუკარგავს მას ასეთი მოჰირნჯზული თავის ერისა.

გარდაიცვალა რეზო თაბუკაშვილი.

ეს ბოლო წლებია მთელი საქართველო გაფაციცებული იყო, თუ რა ამბით დაბრუნდებოდა საზღვარგარეთ სამკურნალოდ წასული რეზო თაბუკაშვილი, და თუმცა სახარბიელო არაფერი ჩანდა, ისიც კი ახარებდა, რომ მდგომარეობა თითქმის სტაბილური იყო და სწრაფად არ უარესდებოდა. საქართველოს არ ეთმობოდა თავისი საუკეთესო შვილი, სიქადული ქართველთა.

სიტყვა მამულიშვილი, რომელიც ახლა წარამარა წარმოთქმისაგან ცოტა არ იყოს პეწდაკარგულია, სწორედ რეზო თაბუკაშვილის პიროვნებასთან დაკავშირებით იბრუნებდა თავის პირვანდელ ბრწყინვალებას. ვუსმენდით დარბაისელ ქართველ კაცს და გვეამაყებოდა მისი ქართველობა — მისი დარბაისლური ქართული, მისი ქართული გარეგნობა, მისი ქართული სული... აი, სწორედ ბატონ რეზოსნაირი სარდლების, ვეზირების, სამეფო კარის მრჩეველთა შორსგამჭვრეტელობით, ჭკუით, შემართებითა და თავდადებით მოაღწია საქართველომ აქამდე.

ახლა კიდევ უფრო ესაჭიროება დამოუკიდებლობის გზაზე დამდგარ საქართველოს რეზო თაბუკაშვილის მსგავსი ბრძენკაცნი, რომელთა სიტყვას ენდობა ყველა — ერიც და ბერიც, მოხუციც და ახალგაზრდაც, რადგან მათი ნათქვამი უხინჯოდ გავლილი ცხოვრების ქურაშია გამოწრთობილი და ამიტომაც — სანდოა და საიმედო.

ვაი, რომ სწორედ ახლა გამოეცალა საქართველოს ერთი ბურჯთაგანი, ერთდროულად მისი ერთი ურთგულესი მეცხოვრეც და სარდალიც.

რეზო თაბუკაშვილი გარდაიცვალა.

გარდაიცვალა საქართველოს თანამდგომ, მისგან განუყოფელ ხულად; ხოლო მისი ამქვეყნიური საქმენი კვლავაც მრავალ თაობას დააყენებენ სამშობლოსადმი უდრტვინველად, მოწამებრივად მსახურების გზაზე.

**ახალგაზრდა ივერიელები**

## ალორძინება
## გვერდი

გვერდის სპონსორები არიან საქველმოქმედო ასოციაცია „ალორძინება“ და ამავე ასოციაციის ფირმა „არგო“.

# მოშვებული სიმები და... მაინც...



— მამა!!! სა-მმ-შშ-ობლოო!

ასე იწყება ყოველი დილა...

მგონია, თვალს რომ ახელს, პირველი, რასაც ხედავს, ვიოლინოა... რაღა თქმა უნდა, პატარა ლევანის მერე... ოთახში ალბათ, არც მიმოფანტული სანოტო ფურცლები ყრია — იმიტომ, რომ არასდროს ჩაუწერია ნოტები... შეხედავს ვიოლინოს, დახუჭავს თვალებს და იწყება დღე...

— არ მახსოვს როდის ვიმღერე პირველად... „ბაღში ვარდებს“ ვმღეროდი მეგობრებთან... სერიოზულად ორი წლის წინათ, იურმალაში ვიმღერე...

**— თქვენ, როგორც კომპოზიტორი, რას იტყვით, რატომ არ სწყალობთ ლევან გველესიანის გარდა სხვა პოეტებს, თუ ისინი არ გწყალობენ?**

— არ მწყალობენ? არ ვიცი, ლევანთან მუშაობა იმიტომ მიხარია, რომ ის ენდობა ჩემს მუსიკას, მე მის სიტყვებს...

**— ვინ გაცმევთ სცენისთვის?**

— მე თვითონ, ზოგს ვყიდულობ, ზოგს — ვაკერინებ...

**— როგორ გრძნობთ თავს კულისებში სცენაზე გასვლამდე და გასვლის შემდეგ?**

— გასვლამდე გული ამოგლეჯვაზე მაქვს, ყოველთვის ვნერვიულობ. თან მიხარია, რომ უნდა გავიდე. მოკლედ, გლადიატორივით ვარ — ბრძოლისთვის ვემზადები... გამოსვლის შემდეგ ყოველთვის ბედნიერი ვარ...

**— თუ ცუდად შეასრულეთ, მაშინაც?**

— მე არასდროს არ ვასრულებ ცუდად... სცენაზე გასვლის წინ მეძლევა შანსი გავაკეთო მაქსიმუმი. რატომ არ უნდა გამოვიყენო ეს შესაძლებლობა?

**— გახვედით სცენაზე...**

— იქ უკვე ჩემი ცხოვრება იწყება. მახსენდება ყველაფერი — თუ რამ გამხარებია ან მწყენია, ვინც მიყვარს და ვინც არა...

**— მსმენელი?**

— მსმენელი სასწაულად მოქმედებს ჩემზე. ზოგჯერ პატარა ბავშვივით მათამაშებს, ვგრძნობ, მის ნება-სურვილზე რომ დავდივარ. აქ ჩატარებული ორი კონცერტი სხვაგან ჩატარებულ 10 კონცერტს უდრის... ზოგჯერ ხალხი „ჩასაფრებული“ მოდის კონცერტზე, ელოდება რა შეეშლება მსახიობს თუ მომღერალს... ასეთი განწყობილებაც საოცრად იგრძნობა დარბაზიდან... რა მოხდა მერე, ერთი ორჯერ მეც დამვიწყებია ტექსტი მოსკოვში, იურმალას შესარჩევ ტურზე ზუსტად ჩემი გასვლის წინ, ვიოლინოზე ორი ქვედა სიმი მომიშვა ვიღაცამ... არ ვტრაბახობ, მაგრამ არავის გაუგია... რატომ უნდა გაიმარჯვოს იმან, ვისაც ჩემი გამარჯვება არ უხარია?!

**— იურმალას შეეხეთ და — თქვენ იქ საოცარი გზნებით იმღერეთ „თავისუფლება“, იქიდან მოყოლებული ყოველ შესრულებას ასე განიცდით?**

— ყოველთვის. არც ერთი წვეთით ნაკლებს არა.

**— როცა ფონოგრამით მღერიხართ?**

— ფონოგრამით თითქმის არასდროს არ ვმღერივარ, მაგრამ თუ მომიხდა, მაინც მთელი ხმით გავყვირი...

**— ახლა რომ გახვიდეთ იურმალაზე, როგორ ფიქრობთ, გაიმარჯვებთ?!**

— რაღა მინდა იურმალაზე?! ახლა სხვა ფესტივალები და კონკურსები იქნება. ისე კი, მე არ მეჩქარება.

**— რა არის თქვენი სამსახური? სად მიდიხართ დილით და საიდან ბრუნდებით საღამოს?**

— ეგეთი რამ არ გამაჩნია, მაქვს კონცერტები — მაქვს ფული, არ მაქვს კონცერტები — არც ფულია...

**— პოპულარობა „თავისუფლებამ“ მოგიტანათ. სხვა სიმღერებზე ხომ არ გწყდებათ გული?! ხომ შეიძლება ის, რომელიც უფრო მეტად გიყვართ, უფრო ნაკლებად იყოს ცნობილი?**

— არა, არ მწყდება გული. ყველა სიმღერა შვილებივით ერთნაირად მიყვარს, — ცნობილიც და უცნობიც.

**— ტარკოვსკი ამბობდა, „ჩემი რელიგია ხელოვნებააო...“ თქვენთვის რა არის ის საქმე, რასაც აკეთებთ?**

— ჩემთვის რელიგია რელიგიაა, ის საქმე, რასაც ვაკეთებ — ცხოვრება...

**— ცოტათი უკეთესობის გრძნობა ხომ არ გაგაჩნიათ?**

— როგორ შეიძლება გაგაჩნდეს უკეთესობის გრძნობა, როცა არსებობს სტივი უანდერი, ნანი ბრეგვაძე, არსებობდა ჰამლეტ გონაშვილი...

**— ვის თვლით მასწავლებლად?**

— „ივერიას“. ალექსანდრე ბასილაიას.

**— როგორ დღეშია ქართული ესტრადა?**

— მე ვფიქრობ, რომ მშვენივრად არის. ახლა დადგა დრო, როდესაც გაიმიჯნა მშვენიერი სალონური, ქალაქური სიმღერები და ესტრადა. ორივემ თავისი გზა იპოვა და ეს ძალიან კარგია.

**— რა არის მთავარი მომღერლისთვის?**

— შრომა და არასდროს არ უნდა მოეშვას.

**— როდესაც ადამიანი სულიერ განცდებს ვიზუალურად გამოხატავს, ამბობენ, სულიერად იწმინდებაო. და ეს გამოხატვა იქნებ მაყურებლამდე და მსმენელამდე სათქმელის მიტანის უტყუარი გზაა. თქვენ რისი თქმა გინდათ ჟესტიკულაციით?!**

— მე ამას რაიმეს სათქმელად არ ვაკეთებ. ეს ჩემგან დამოუკიდებლად ხდება. არ ვიცი, როგორი ვარ იმ დროს. ჯერ კიდევ კონსერვატორიაში, ვიოლინოს კლასში ბატონ ლეო შიუკაშვილთან, როდესაც ვიოლინოზე ვუკრავდი მაშინაც გამოვხატავდი განცდებს, თუმცა ეს გაცილებით ძნელი იყო ვიდრე ახლა, როცა ერთი მიკროფონი მიჭირავს ხელში და სხვა არაფერი...

**— ქუჩაში რომ გესმით თქვენი სიმღერა, რას განიცდით?**

— ბევრჯერ მიტირია კიდეც. კიდევ იცით, როდის განვიცდი? სხვა ქალაქებში კონცერტებზე ქართველების და სანთლების რაოდენობა როცა ერთია. მერე ყველა ეს სანთელი ჩემს ზურგს უკან რომ ჩნდება და ვგრძნობ, ჩვენი სიკვდილი შეუძლებელია, თუ ერთად ვიქნებით...

**— თქვენი მეგობრები?**

— ისინი ყოველთვის ჩემთან არიან. თუ დრო არ გვაქვს ერთად ყოფნისთვის, ესეც მისატევებელია — ჩვენ საქმისთვის ურთმანეთობა მიგვაქვს მსხვერპლად...

●

დღე დასრულდა... კიდევ ბევრ რამეს ფიქრობს სოსო პავლიაშვილი: რომ, პირველ რიგში, პიროვნება უნდა იყო, ხოლო ამისათვის ოჯახია ჯერ მთავარი, მერე — საქმე, რომ ბედნიერი იქნებოდა ქართველებს ერთმანეთის გატანა უფრო მეტად შეეძლოთ, მაგრამ მაინც ბედნიერია, რომ წერს, რომ მღერის, რომ ცხოვრობს...

მაპატიე, სოსო, მაინც უნდა გაგამხილო — რაიმე ფილმში რომ ითამაშებდი, დიდი სიამოვნებით... პატარა ლევანის კი ჰყავს მომღერალი მამა, მაგრამ „იავნანას“ მაინც ნინო, დედა უმღერის, როგორც წესია.

**მაია შალაგანიძე,**

**ჯემალ კახრაძის ფოტო.**

## I საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

გასულ შაბათ-კვირას გაიმართა ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის II წრის პირველი ტურის 6 შეხვედრა. ორი მატჩი: „კოლხეთი-1913“ — „იბერია“ და „გორდა“ — „ბათუმი“ გადაიდო იმის გამო, რომ „იბერია“ და „ბათუმი“ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის თანხმობით საერთაშორისო მატჩებს ატარებენ თურქეთში. აი, ცხინვალის „ლიახვისა“ და სამტრედიის „სანავარდოს“ შეხვედრა არ შედგა იმის გამო, რომ ცხინვალელებმა კვლავ ვერ შეძლეს საკუთარ სტადიონზე მატჩის გამართვა. როდემდე გაგრძელდება ასე? პასუხს, ალბათ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან მივიღებთ.

**ტურის სხვა შეხვდრები კი ასე დამთავრდა:**

**„ოდიში“ — „ქუთაისი“ 0:0;**

**„ივერია“ — „მზიური“ 1:3;**

**„ცხუმი“ — „შევარდენი-1906“ 1:1;**

**„დილა“ — „გურია“ 1:0;**

**„ამირანი“ — „მერცხალი“ 2:1;**

**„სამგურალი“ — „კოლხეთი“ 2:1.**

**გათამაშების ცხრილი 7 აგვისტოსათვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „იბერია“ | 17 | 11 | 4 | 2 | 47—12 | 37 |
| „ბათუმი“ | 17 | 11 | 4 | 2 | 28—7 | 37 |
| „გურია“ | 18 | 11 | 3 | 4 | 35—7 | 36 |
| „გორდა“ | 17 | 11 | 3 | 3 | 33—16 | 36 |
| „ქუთაისი“ | 18 | 10 | 2 | 6 | 30—17 | 32 |
| „ცხუმი“ | 18 | 8 | 5 | 5 | 31—17 | 29 |
| „მერცხალი“ | 18 | 8 | 5 | 5 | 27—19 | 29 |
| „კოლხეთი“ | 18 | 8 | 4 | 6 | 28—19 | 28 |
| „კოლხეთი-1913“ | 17 | 8 | 3 | 6 | 29—19 | 27 |
| „დილა“ | 18 | 8 | 3 | 7 | 26—23 | 27 |
| „შევარდენი-1906“ | 18 | 8 | 2 | 9 | 25—36 | 23 |
| „ხანავარდო“ | 17 | 6 | 4 | 7 | 16—24 | 22 |
| „ოდიში“ | 18 | 5 | 6 | 7 | 17—15 | 20 |
| „სამგურალი“ | 18 | 5 | 3 | 10 | 19—34 | 18 |
| „ივერია“ | 18 | 5 | 0 | 13 | 12—40 | 18 |
| „მზიური“ | 18 | 5 | 2 | 11 | 19—45 | 17 |
| „ამირანი“ | 18 | 4 | 3 | 11 | 16—27 | 15 |
| „ლიახვი“ | 17 | 0 | 0 | 17 | 8—68 | 0 |

## მოკლედ

მორიგი წარმატება მოიპოვა ახალგაზრდა, მაგრამ უკვე ტიტულოვანმა ქართველმა ძიუდოისტმა, 21 წლის ამირან ტოტიკაშვილმა. სიეტლში მიმდინარე კეთილი ნების თამაშებზე ტოტიკაშვილი უძლიერესი იყო 60 კგ. წონით კატეგორიაში და ახლა მის მდიდარ კოლექციას მხოლოდ ოლიმპიური ოქროღა აკლია...

**ამ გვერდზე გამოქვეყნებული მასალების ჰონორარი გადაირიცხება სოფ. ჰუჯაბის მშენებლობის ფონდში, ასოციაცია „ალორძინების“ ანგარიშზე 100700608 მთაწმინდის რაიონის ბინსოცბანკში.**


ახალგაზრდა ივერიელი

Общественно - политическая молодежная газета «Ахалгазрда Ивериели»

ტელეფონები: მისაღები — 93-97-31; პასუხისმგებელი მდივანი — 93-31-56; წერილების განყოფილება — 99-00-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

რედაქტორის მოადგილე გიგლა გოგებია

საქართველოს კპ ცკ-ის სტამბა 380096, თბილისი-96, მ. კოსტავას ქ. № 14, აიწყობა ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხაზარაულის № 29 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15 Наш индекс 68400

რედაქციის მისამართია ქ. თბილისი — 380096 მ. კოსტავას ქ. № 14.